პროლეტარებო ყველა გვეყოფნოს, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტისა და
საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ ОРГАН ЦЕНТРАЛЬНОГО КОМИТЕТА КП (б) ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 33-ე წელი

ოთხშაბათი, 4 ივნისი, 1952 წ. № 131 (9291). ფასი 20 კაპ.

დღეს გაზეთში

თავისუფალი ხალხების კეთილდღეობის გაუმჯობესება — „პრავდის“ 3-VI მოწინავე (1-ლი გვერდი).

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსა და საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალურ კომიტეტში — 1952 წელს კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში თივის აღებისა და საკვების დასილოსების შესახებ (1-ლი და მე-2 გვერდი).

მშრომელთა მრისხანე პროტესტები ამერიკელ . ინგლისელ აგრესორთა ბოროტმოქმედების წინააღმდეგ (მე-2 გვერდი).

ვ. მამალაძე — გავაძლიეროთ ბრძოლა სახელმწიფო და საზოგადო ძალების მტაცებლებთან (მე-2 და მე-3 გვერდი).

რა აფერხებს ორთბაჯალეისის მშენებლობას (მე-3 გვერდი).

კუროორტი ძოგულეთი — სანიმშვენელი უნდა მოემსახუროს დასვენებულებს (მე-3 გვერდი).

სასპორტო სეზონს მოუმზადებელი შეხვდნენ (მე-3 გვერდი).

უცხოეთის ინფორმაციები (მე-4 გვერდი).

თავისუფალი ხალხების კეთილდღეობის გაუმჯობესება

ევროპისა და აზიის მთელ რიგ ქვეყნებში დამკვიდრებულმა სახალხო-დემოკრატიულმა წყობილებამ ამ ქვეყნების ხალხები, რომლებიც კაპიტალიზმის დროს დამონებულნი და დაჩაგრული იყვნენ, თავისუფალი და ბედნიერი ცხოვრების ფართო გზაზე გამოიყვანა. ხელმძღვანელობენ რა ლენინ-სტალინის მოძღვრებით ახალი საზოგადოების მშენებლობის გზების შესახებ, იყენებენ რა საბჭოთა კავშირის უმდიდრეს გამოცდილებას და ეყრდნობიან რა მის ძმურ დახმარებას, სახალხო დემოკრატიის ქვეყნების კომუნისტური და მუშათა პარტიები მტკიცედ მიუძღვიან მშრომელებს საწარმოო ძალების სწრაფი განვითარების, კეთილდღეობისა და კულტურის აღმავლობის გზაზე.

ინდუსტრიალიზაციის პოლიტიკას, რასაც თანმიმდევრულად ახორციელებენ სახალხო დემოკრატიის ქვეყნები, სულ უფრო ხელშეახებები შედეგები მოაქვს. მწყობრში დგება ახალი დიდი ქარხნები და ფაბრიკები, შახტები და ელექტროსადგურები, იქმნება მრეწველობის ახალი უმნიშვნელოვანესი დარგები, ვითარდება მძიმე ინდუსტრია. ამ ქვეყნების სამრეწველო წარმოების მოცულობამ უკვე მნიშვნელოვნად გადააჭარბა ომამდელ დონეს. წარსულში ჩამორჩენილი, უცხოეთის კაპიტალის მიერ დამონებული ფერმერული ქვეყნები მოწინავე, ინდუსტრიულ ქვეყნებად იქცევიან.

სახალხო-დემოკრატიულმა წყობილებამ შესაძლებელი გახადა მოსპობილიყო სოფლის სიღატაკე და გაჩანაგება, მშრომელ გლეხობას დაუბრუნა შეძლებული და კულტურული ცხოვრების პერსპექტივები. სოციალისტური მსხვილი ინდუსტრიის წარმატებით განვითარება სოფლის მეურნეობის სოციალისტური გარდაქმნისა და აღმავლობის სულ უფრო მტკიცე ბაზას ქმნის. ფეოდალურ მეურნეობათა კოლექტიურმა საფუძველზე სოფლის თანდათანობით გარდაქმნა, როგორც არსებობს სახელმწიფო მანქანა-ტრაქტორთა სადგურები და წარმოებს ყოველდღიური პოლიტიკური მუშაობა სოფლის მოსახლეობაში, წარმოადგენს სახალხო დემოკრატიის ქვეყნების სოციალისტური მიწათმოქმედების შემდგომი განვითარების საწინდარს. ამ უმნიშვნელოვანესი საქმის წარმატებას ხელს უწყობს სოფლად არსებული საწარმოო კოოპერატივების ორგანიზაციულ-სამეურნეო და პოლიტიკური განმტკიცება.

სახალხო დემოკრატიის ქვეყნებში ახალი ცხოვრების შენებლობის მთელი მხვლელობა მრწყინვალედ ადასტურებს სტალინის იმ შესანიშნავი სიტყვების სისწორეს, რომ სოციალიზმი ნიშნავს სილატაკისა და გაჭირვების მოსპობას, საზოგადოების ყველა წევრისათვის ზეკეთილდღეობის და კულტურული ცხოვრების მოწყობას.

სახალხო დემოკრატიის ქვეყნებში აღარ არის უმუშევრობა. სახალხო მეურნეობის განფენილი აღმავლობის საფუძველზე, რაც სახელმწიფო გეგმის მიხედვით წარმოებს, იზრდება ნაციონალური შემოსავალი, მატულობს მუშა-მოსამსახურეთა რეალური ხელფასი, მცირდება მასობრივი მოხმარების საქონლის ფასები. უკანასკნელი თვეების მანძილზე უნგრეთში მოლიანად გაუქმებულია საბარათო სისტემა, ფულის რეფორმა განხორციელდა და მასობრივი მოხმარების უმნიშვნელოვანესი საქონლის საცალო ფასები შემცირდა რუმინეთში, ფულის რეფორმა განხორციელდა, ნორმირებული მოგრაგების სისტემის ლიკვიდაცია დამთავრდა და სახელმწიფო საცალო ფასები შემცირდა ბულგარეთში.

„ჩვენ ვადგავართ ხალხის ცხოვრების დონის ამაღლების ერთადერთ სწორ გზას, საბჭოთა კავშირის გზას, საქონლის ფასების თანმიმდევრული შემცირების გზას“, — წერს ბულგარული გაზეთი „რაბოტნიჩესკო დელო“.

ახალ ჩინეთში სახალხო ხელისუფლებამ მოსახლეობის გმინდანელთა ბატონობის დროს გაჩაღებული ინფლაცია. მეურნეობის სწრაფი აღმავლობის საფუძველზე მცირდება საქონლის ფასები.

„განთავისუფლებამდე საქონლის ფასები დღეში რამდენჯერმე მატულობდა, — ამბობს მეტალურგიული ქარხნის მუშა სე ცუნ-ბაო.—ჩვენ, მუშები, ძალიან ვიტანჯებოდით ამით. განთავისუფლების შემდეგ ფასები არათუ სტაბილური გახდა, არამედ მცირდება კიდეც. ახლა ჩვენი ცხოვრება უზრუნველყოფილია, და ჩვენ ვხედავთ, რომ იგი დღითიდღე გაუმჯობესდება. ყოველივე ეს ხდება თავმჯდომარის მაო ძედუნისა და ჩინეთის კომუნისტური პარტიის ბრძნული ხელმძღვანელობის მეოხებით“.

სულ სხვა სურათია იმპერიალისტური ბანკის ქვეყნებში, სადაც ეკონომიკის ცალმხრივმა, მაბინჯამა სამხედრო განვითარებამ გამოიწვია მრეწველობის სამშვიდობო დარგების შეკვეცა, უმუშევრობის ზრდა, მოსახლეობის მყიფეელობითი უნარის შემდგომი დაცემა, ხალხის ფართო მასების გაღატაკება და გაჩანაგება. „საქონლის მოთხოვნილება, — წერს ამერიკული გაზეთი „ჯორნელ ოფ კომერსი“, — ყველაზე დაბალ დონემდე დაეცა და ამან გამოიწვია წარმოების შეკვეცა და უმუშევრობის ზრდა“. „ფართო მოხმარების საქონლის წარმოება შემცირდა“,—აღნიშნავს კაპიტალისტური ქვეყნების შესახებ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სამდივნოს მიერ ამას წინათ გამოქვეყნებული მოხსენება საერთაშორისო ეკონომიურ მდგომარეობაზე.

სახალხო დემოკრატიამ მშრომელთა ფართო მასებისათვის ხელმისაწვდომი გახადა ცოდნა, მეცნიერება, ხელოვნება. ამ ქვეყნების კომუნისტური და მუშათა პარტიები, სახალხო ხელისუფლება ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ამოცანად ისახავენ მშრომელთა კულტურული დონის ამაღლებას, ფორმით ეროვნული და შინაარსით სოციალისტური ახალი კულტურის განვითარებას.

სახალხო-დემოკრატიულმა წყობილებამ ცოდნის წყურვილი გაუღვიძა მილიონობით მშრომელს. სახალხო დემოკრატიის ქვეყნებში გაჩაღებული კულტურული რევოლუცია აღინიშნება წერა-კითხვის უცოდინარობის სწრაფი ლიკვიდაციით, იმით, რომ მილიონობით ადამიანი ეზიარება მეცნიერებისა და ხელოვნების მიღწევებს, იქმნება სახალხო ინტელიგენციის კადრები. ახლა სახალხო დემოკრატიის ქვეყნებში გახსნილია ათასობით სკოლა, ათობით ახალი უმაღლესი სასწავლებელი, ათასობით საღამოს სკოლა და კურსები. განათლების, მეცნიერების, ხელოვნების განვითარებაზე უდიდესი სახელმწიფო სახსრები იხარჯება.

„ჩვენი ქვეყნის მშრომელებს არასოდეს არ უცხოვრიათ ისე ბედნიერად, შეძლებულად და კულტურულად, როგორც დღეს, — წერს ჩეხოსლოვაკიის გაზეთი „რუდე პრავო“. — მაგრამ ჩვენი დღევანდელი დღე მხოლოდ ნაბიჯია ბედნიერი ხვალინდელი დღის გზაზე. ამ გზაზე გვხვდება დაბრკოლებანი და სიძნელეები. მაგრამ ყველა დაბრკოლებასა და სიძნელეს გადალახავთ, თუ თანმიმდევრულად ვიგლით ლენინ-სტალინის გზით, რომელსაც გვიჩვენებს ჩვენი პარტია, ამხანაგი გოტვალდი“.

სახალხო დემოკრატიის ქვეყნებში მილიონობით მშრომელი მონაწილეობს თავისი სახელმწიფოს მართვაში. ამ ქვეყნების მრავალსაუკუნოვან ისტორიაში მშრომელმა მასებმა — მოსახლეობის უდიდესმა უმრავლესობამ — პირველად აიღეს თავიანთ ხელში საკუთარი ბედი. მშრომელებში სულ უფრო ვითარდება ახალი დამოკიდებულება შრომისადმი, როგორც სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საქმისადმი. შრომის ნაყოფიერების გადიდებისადმი, მუშაობის მეთოდების გაუმჯობესებისადმი, ახალი ტექნიკის დაუფლებისადმი მისწრაფებამ მოიცვა სახალხო დემოკრატიის ქვეყნების მუშათა კლასის, გლეხობის, ინტელიგენციის ფართო ფენები, მას გამოხატავს სახელმწიფო გეგმების მთლიანად და გადაჭარბებით შესრულებისათვის საწარმოო შეჯიბრების მძლავრი აღმავლობა.

თვით ცხოვრებამ დამჯერებლად და უცილობლად დაადასტურა სახალხო დემოკრატიის წყობილების უპირატესობა კაპიტალისტური წყობილების წინაშე.

„ყველა ფაქტი მოწმობს, — აცხადებს ჩინელი ხალხის ბელადი მაო ძე-დუნი, — რომ ხალხთა დემოკრატიული დიქტატურის ჩვენს სისტემას უდიდესი უპირატესობა აქვს კაპიტალისტური ქვეყნების პოლიტიკურ სისტემასთან შედარებით. ამ სისტემის საფუძველზე ჩვენს ხალხს შეუძლია განავითაროს თავისი აურაცხელი და დაუშრეტელი ძალები. ამ ძალებს ვერავითარი მტერი ვერ დაძლევს“.

განთავისუფლებული ხალხების ბედნიერებისა და აყვავების საწინდარს, მათი სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობისა და ახალი ცხოვრების შენებლობაში წარმატებათა აუცილებელ პირობას წარმოადგენს ურღვევი მეგობრობა საბჭოთა კავშირთან. სახალხო დემოკრატიის ქვეყნების მშრომელნი უსაზღვრო სიყვარულით არიან გამსჭვალულნი თავიანთი დიდი განმათავისუფლებლისა და მეგობრის — საბჭოთა კავშირისადმი, მთელი პროგრესული კაცობრიობის ბელადის ამხანაგ სტალინისადმი.

გამოხატავენ რა პოლონელი ხალხის გრძნობებს, პოლონელთის მეცნიერები ამას წინათ გამოქვეყნებულ წერილში ამხანაგ ი. ბ. სტალინისადმი აცხადებენ:

„მას შემდეგ, რაც საბჭოთა კავშირმა პოლონეთი გაათავისუფლა, წლითიწლობით სულ უფრო მტკიცდება ჩვენი ხალხების მჭიდრო თანამშრომლობა და სამარადისო მეგობრობა, რის საფუძველია საერთო იდეალები, მშვიდობიანი შენებლობა, რომელსაც ახორციელებს ახალი, სამართლიანი საზოგადოებრივი წყობილება, ამის საფუძველია მშვიდობისათვის ერთობლივი ბრძოლა“.

სოციალისტური ბანკის ქვეყნების თავისუფალი ხალხები, კომუნისტური და მუშათა პარტიების გარშემო დარაზმულნი, საბჭოთა კავშირთან ძმური მეგობრობით გაერთიანებული, გამსჭვალული არიან თავიანთი მომავლის მტკიცე რწმენით. ისინი ფხიზლად ადევნებენ თვალყურს ომის იმპერიალისტ გამჩაღებელთა ხრიკებს, ამხილებენ მათს დანაშაულებრივ გეგმებსა და საქმეებს.

უსაზღვროა თავისუფალ ხალხთა გადაწყვეტილება, რომ მთელი თავიანთი ძალები მოახმარონ მშვიდობიანი შემოქმედებითი შრომის ფრონტზე ახალი გამარჯვებებისათვის, მთელ მსოფლიოში მშვიდობის შენარჩუნებისა და განმტკიცებისათვის ბრძოლას.

„პრავდის“ 3/VI მოწინავე

ვიქტორ ჰიუგოს ნაწარმოებთა გამოცემა

მხატვრული ლიტერატურის სახელმწიფო გამომცემლობის სარედაქციო საბჭომ დაამტკიცა ვიქტორ ჰიუგოს თხზულებათა კრებულის გამოცემის გეგმა. მთელი გამოცემა, 15 ტომი, ვარაუდით უნდა დამთავრდეს 1955 წელს.

ჰიუგოს თხზულებათა კრებულის გამოცემა საბჭოთა ხელისუფლების დროს პირველად ხორციელდება. პუბლიცისტიკა, ლექსების დიდი ნაწილი და ზოგიერთი დრამა გამოვა ახალი თარგმანით. რომანებისათვის გამოყენებულია საბჭოთა ხელისუფლების დროს შექმნილი საუკეთესო თარგმანები.

თხზულებათა კრებულში შევა დიდი რომანები: „პარიზის ღვთისმშობლის ტაძარი“, „განკიცხულნი“, „ზღვის მშრომელნი“, „კაცი, რომელიც იცინის“, „ოთხმოცდამეცამეტე წელი“, ლექსთა კრებულნი, დრამატურგიული ნაწარმოებნი, სტატიები, რჩეული სიტყვები და მიმართვები. (საკდესი).

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსა და საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალურ კომიტეტში

1952 წელს კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში თივის აღებისა და საკვების დასილოსების შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო და საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტი აღნიშნავენ, რომ 1952 წელს რესპუბლიკის მეტი წილი რაიონების კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში თივის აღებისა და საკვების დასილოსებისათვის მზადება დამაკმაყოფილებლად არ მიმდინარეობს.

განსაკუთრებით ჩამორჩება თივის ასაღები მანქანების შეკეთება. თბილისის ოლქის კოლმეურნეობებში 1952 წლის 20 მაისისათვის შეკეთებული იყო ცხენის სათიბი მანქანების მხოლოდ 72,7 პროცენტი, ხოლო ქუთაისის ოლქში — 27,6 პროცენტი. აფხაზეთის ასს რესპუბლიკისა და აჭარის ასს რესპუბლიკის კოლმეურნეობებში შეუწყნარებლად აჭიანურებენ ჩალის სილოსსაჭრელი მანქანების რემონტს.

სატრაქტორო სილოსსაჭრელების რემონტი ცუდად არის ორგანიზებული ქუთაისის ოლქის მანქანა-ტრაქტორთა სადგურებში, სადაც შეკეთებულია ამ მანქანების მხოლოდ 10 პროცენტი.

მიმდინარე წლის ხელსაყრელი პირობები ხელს უწყობენ რესპუბლიკის თითქმის ყველა რაიონში თივისა და სასილოსე ნედლეულის უხვ მოსავალს. კარგი ბალახი რესპუბლიკაში და ჩრდილოეთ კავკასიისა და აზერბაიჯანის სსრ ზამთრის საძოვრებზე, რომლებიც მიჩენილი აქვთ საქართველოს სსრ კოლმეურნეობებს, შესაძლებლობას იძლევა წელს თიბვა და დასილოსება დაწყებულ იქნას უფრო ადრე, ვიდრე გასულ წლებში, და მნიშვნელოვანი გადაჭარბებით შესრულდეს თიბვის, საზოგადოებრივი პირუტყვისათვის თივისა და სილოსის დამზადების გეგმები.

სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, ყაზბეგის, დუშეთის, თიანეთის, ახმეტის, სიღნაღის. ყვარლისა და სამომთაბარო მეცხვარეობის სხვა რაიონების ბევრ კოლმეურნეობას ჯერ კიდევ არ გაუგზავნია ზამთრის საძოვრებზე საჭირო მუშახელი, თივის ასაღები მანქანები და ტრანსპორტი, ჩრდილოეთ კავკასიისა და წოთელწყაროს მეცხოველეობის სამანქანო სადგურებთან არ დაუდგიათ ხელშეკრულებანი თივის აღების შესახებ, რის შედეგადაც ხელიდან უშვებენ საუკეთესო ვადებს და არ იყენებენ ზამთრის საძოვრებზე თივის სადაზღვევო მარაგის შექმნის დიდ შესაძლებლობას.

თივის აღება მეტად ნელა მიმდინარეობს მარნეულის, ბოლნისისა და წოთელწყაროს რაიონების კოლმეურნეობებში, ხოლო გარდაბნის, კაჩრეთისა და სხვა რაიონების კოლმეურნეობებს, აგრეთვე რესპუბლიკის მანქანა-ტრაქტორთა სადგურებსა და მეცხოველეობის სამანქანო სადგურებს ჯერ არ დაუწყიათ თივის აღება და საკვების დასილოსება.

1952 წელს თიბვის და საკვების დასილოსებისათვის მზადებაში ჩამორჩენა იმას მოწმობს, რომ საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტრო, საქართველოს მეცხოველეობის საბჭოთა მეურნეობების ტრესტი, ოლქების, ავტონომიური რესპუბლიკებისა და მთელი რიგი რაიონების პარტიული, საბჭოთა და სასოფლო-სამეურნეო ორგანოების ხელმძღვანელები ცუდად ხელმძღვანელობენ ამ უმიშვნელოვანეს საქმეს, იმეორებენ 1951 წელს დაშვებულ შეცდომებს, როცა თივის აღებისა და საკვების დასილოსების ცუდი ორგანიზაციის გამო, გარდაბნის, საგარეჯოს, გურჯაანის, ახმეტის, ყაზბეგისა და სხვა რაიონების ზოგიერთმა კოლმეურნეობამ 1951-52 წლების გამოზამთრებაში საზოგადოებრივი პირუტყვის სულადობა ვერ უზრუნველყო საკმაო რაოდენობის საკვებით და ამ მიზეზით დიდი ზარალი ნახა სულადობის დახოცვის გამო და ვერ შეასრულა დავალებანი პირუტყვის პროდუქტიულობის ამაღლების დარგში.

იმ მიზნით, რომ უთუოდ შესრულებულ იქნას საკვების დამზადებისა და კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების საზოგადოებრივი პირუტყვის თივით და ნოყიერი საკვებით უზრუნველყოფის 1952 წლისათვის დაწესებული სახელმწიფო გეგმა, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დადგენილების შესასრულებლად, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო და საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტი ადგენენ:

1. დაევალოს თბილისისა და ქუთაისის საოლქო აღმასკომებს, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებს, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის საოლქო აღმასკომს, საქართველოს კ. პ. (ბ) საოლქო კომიტეტებს, საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს, საქართველოს მეცხოველეობის საბჭოთა მეურნეობების ტრესტს, რაიონულ პარტიულ, საბჭოთა და სასოფლო-სამეურნეო ორგანოებს, მანქანა-ტრაქტორთა სადგურების, მეცხოველეობის სამანქანო სადგურებისა და საბჭოთა მეურნეობების დირექტორებს დაუყოვნებლივ აღმოფხვრან კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ჩამორჩენა თივის აღებისა და საკვების დასილოსებისათვის მზადებაში, უზრუნველყონ 1952 წელს საკვების დროზე და ორგანიზებული დაგროვება, რათა თვითეულ კოლმეურნეობასა და საბჭოთა მეურნეობაში შეიქმნას საკვების მარაგი იმ რაოდენობით, რაც სავსებით დაკმაყოფილებს საზოგადოებრივი მეცხოველეობის მოთხოვნილებას.

2. დაევალოს საოლქო აღმასკომებს, ასს რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებს და საქართველოს კ. პ. (ბ) საოლქო კომიტეტებს, საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს და საქართველოს მეცხოველეობის საბჭოთა მეურნეობების ტრესტს:

ა) მიიღონ ღონისძიებანი, რათა უახლოეს დღეებში ყველა კოლმეურნეობაში, მტს-სა და მეცხოველეობის სამანქანო სადგურში დამთავრებულ იქნას თივის ასაღები მანქანებისა და სილოსსაჭრელების რემონტი, აგრეთვე კოლმეურნეობებისა და მანქანა-ტრაქტორთა სადგურების მიერ სოფლის მეურნეობის მომარაგების საწყობებში არსებული მანქანების შეძენა;

ბ) უზრუნველყონ, რომ თვითეულმა კოლმეურნეობამ, მანქანა-ტრაქტორთა სადგურმა, მეცხოველეობის სამანქანო სადგურმა და საბჭოთა მეურნეობამ შეადგინოს თივის აღებისა და საკვების დასილოსების სამუშაო გეგმები, გეგმებით გათვალისწინებულ იქნას სათიბების ნაკვეთების მიჩენა ბრიგადებისათვის, ბალახების მეორადი თიბვა, თივის ასაღები ყველა მანქანისა და სილოსსაჭრელის სრული და ნაყოფიერი გამოყენება; უზრუნველყონ სათიბთა ფართობების მომზადების ღონისძიებანი ბალახის ასაღებად და მდელოების მოსავლიანობის გასადიდებლად, რისთვისაც მდელოები გაიწმინდოს ჩირგვებისა, კოლობოებისა, ქვისაგან და სხვ.

გ) მოაწყონ ადგილობრივი მრეწველობისა და სარეწაო კოოპერაციის საწარმოებში, აგრეთვე მანქანა-ტრაქტორთა სადგურებში თივის ასაღები ხელის ინვენტარის — ფიწლების, ფოცხების, ცელის პირგამოსაყვანი ჩაქუჩების, ხელკეტების და სალესების, აგრეთვე მათი სამარაგო ნაწილების დამზადება ისეთი რაოდენობით, რაც უზრუნველყოფს კოლმეურნეობათა მოთხოვნილებას.

3. თიბვის დროზე დამთავრებისა და მაღალი ხარისხის თივის მიღების მიზნით დაევალოთ საოლქო აღმასკომებს, ასს რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებს და საქართველოს კ. პ. (ბ) საოლქო კომიტეტებს, საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს და საქართველოს მეცხოველეობის საბჭოთა მეურნეობების ტრესტს:

ა) უზრუნველყონ, რომ ბალახის აღება საუკეთესო აგროტექნიკურ ვადებში და თიბვა, აგრეთვე თივის დაზვინვა დაამთავრონ სულ დიდი 15-20 დღეში ბალახის თიბვის დაწყებიდან, არ დაუშვან ბალახის მოთიბვის შემდეგ თივის დაზვინვის დაგვიანება;

ბ) უზრუნველყონ თივის ასაღებ მუშაობასა და სილოსის ჩადებაში კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების მუშების სრული მონაწილეობა, მაქსიმალურად გაათავისუფლონ ისინი შინასამეურნეო და სხვა მეორეხარისხოვანი მუშაობისაგან და მიაღწიონ იმას, რომ ყველა კოლმეურნემ და საბჭოთა მეურნეობების მუშებმა, რომლებიც საკვების დამზადებაზე მუშაობენ, მთლიანად და გადაჭარბებით შეასრულონ გამომუშავების დღიური ნორმები;

გ) გამოიყენონ თივის ასაღები ყველა მანქანა ბალახის აღებაში მთელ დღეს სრული დატვირთვით, უზრუნველყონ თვითეული ცხენის სათიბი მანქანის დღიური გამომუშავება სულ მცირე 4 ჰექტარის რაოდენობით, აგრეთვე დაადწესონ კონტროლი თივის ასაღებ სამუშაოთა ხარისხისადმი;

დ) მოაწყონ სათიბის ცალკე ნაკვეთებზე იმ კოლმეურნეთა საზოგადოებრივი კვება, რომლებიც თიბვაზე მუშაობენ, აგრეთვე სარემონტო ბაზები და მოამარაგონ ისინი სათადარიგო ნაწილებით, რაც საჭიროა თივის ასაღები მანქანების დროზე შეკეთებისა და შეუფერხებელი მუშაობისათვის;

ე) მოაწყონ კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში საკვების დროზე გატარება შემოსავალში, მისი დაცვა დატაცებისა და ხანძრისაგან, არ დაუშვან საკვების უდროო ხარჯვა და უზრუნველყონ პირუტყვის გამოზამთრების ადგილებში თივის მიზიდვა თიბვის დაწყებიდანვე;

ვ) მიაღწიონ იმას, რომ სარწყავი მიწათმოქმედების რაიონებში წელს ნათესი ბალახები სარწყავ მიწებზე გაითიბოს სულ მცირე 3-4-ჯერ, ამისათვის უზრუნველყოფილ იქნას საჭირო რაოდენობით დროზე მორწყვა და ნათესი ბალახების სათანადო მოვლა.

4. 1952 წელს კოლმეურნეობებისათვის დაწესებულ იქნას ბუნებრივი და ნათესი ბალახების მეორადი თიბვის დავალება 6 ათასი ჰექტარის რაოდენობით, აქედან: თბილისის ოლქისათვის — 3.700 ჰექტარი, ქუთაისის ოლქისათვის — 1.500 ჰექტარი, აფხაზეთის ასს რესპუბლიკისათვის — 500 ჰექტარი და აჭარის ასს რესპუბლიკისათვის — 300 ჰექტარი.

დაევალოს საოლქო აღმასკომებსა და ასს რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებს ერთი კვირის ვადაში აცნობონ რაიონებსა და კოლმეურნეობებს ბალახების მეორადი თიბვის დავალება და უზრუნველყონ მეორადი თიბვისათვის განკუთვნილი ნაკვეთების დაცვა წანახედისაგან.

5. საკვების დასილოსებისა და კარგი ხარისხის სილოსის დამზადების გეგმის შესრულების მიზნით, დაევალოს საოლქო აღმასკომებს, ასს რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებს და საქართველოს კ. პ. (ბ) საოლქო კომიტეტებს, საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს და საქართველოს მეცხოველეობის საბჭოთა მეურნეობების ტრესტს:

ა) მოაწყონ კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში სასილოსე ნაგებობათა მშენებლობა და რემონტი იმ ვარაუდით, რომ მათი მშენებლობა დამთავრდეს სილოსის იმ რაოდენობით ჩადების დაწყებისას, რაც უზრუნველყოფს თვითეული კოლმეურნეობისა და საბჭოთა მეურნეობის მიერ საკვების დასილოსების გეგმის შესრულებას.

აცნობონ მანქანა-ტრაქტორთა სადგურებს კოლმეურნეობებში უმარტივეს სახილოსე ნაგებობათა მშენებლობის დავალება და ამ მუშაობაში გამოიყენონ მანქანა-ტრაქტორთა სადგურების მიწისსათხრელი მანქანები;

ბ) უზრუნველყონ სასილოსე კულტურების ბეჯითი მოვლა, ფართო მწკრივიანი ნათესების მწკრივთა შორისი დამუშავება სულ მცირე სამჯერ, გამარგვლა ორ-სამჯერ და ადგილობრივი და მინერალური სასუქების დამატებით შეტანა, აგრეთვე უზრუნველყონ სასილოსე კულტურების ნათესების დროზე აღება, არ დაუშვან მათი გადაბერება და სხვა მიზნებისათვის გამოყენება;

გ) უზრუნველყონ საკვების დასილოსების ტექნიკის ზუსტი დაცვა: მწვანე მასის აღება და გაზიდვა მინდვრიდან მოთიბვისთანავე, მისი სწრაფად დაჭრა და სათანადო გამკვრივება, სილოსის გულმოდგინედ და დროზე გადახურვა, არ დაუშვან ფხვიერ გრუნტში ამოთხრილ მოუპირკეთებელ ორმოებსა და ტრანშეებში მისი ჩადება;

დ) უზრუნველყონ საკვების დასილოსება ადრე ვადებში, ამისათვის გამოიყენონ საძოვრების ნაჭარბი ბალახი, რათა პურეულის აღების დასაწყისისათვის ჩადებულ იქნას დასილოსების წლიური გეგმის სულ მცირე 80 პროცენტი სილოსი;

ე) ფართოდ გამოიყენონ დასილოსებისათვის ბოსტნეულ-ბაღჩეული კულტურების ნარჩენი და ძირხვენების ფოთოლი.

6. გათვალისწინებულ იქნას გარეუული მცენარეულობის სიუხვე და იმის საჭიროება, რომ გადიდებულ იქნას სილოსის რაოდენობა ზაფხულში საძოვართა საკვების ნაკლებობის პერიოდში პირუტყვის გამოსაკვებად და 1952 წელს კოლმეურნეობებისათვის დაწესდეს საკვების დასილოსების დამატებითი გეგმა 50 ათასი ტონის რაოდენობით, აქედან: თბილისის ოლქისათვის — 23.000 ტონა, ქუთაისის ოლქისათვის — 20.000 ტონა, აფხაზეთის ასს რესპუბლიკისათვის — 3.000 ტონა, აჭარის ასს რესპუბლიკისათვის—1.500 ტონა და სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქისათვის — 2.500 ტონა.

დაევალოს საოლქო აღმასკომებს, ასს რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებსა და საქართველოს კ. პ. (ბ) საოლქო კომიტეტებს საკვების დასილოსების დამატებითი გეგმა ერთი კვირის ვადაში აცნობონ რაიონებსა და კოლმეურნეობებს და მიიღონ ღონისძიებანი ამ გეგმის შესრულების უზრუნველსაყოფად.

7. დაევალოს თბილისისა და ქუთაისის საოლქო აღმასკომებს, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებს, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის საოლქო აღმასკომს და საქართველოს კ. პ. (ბ) საოლქო კომიტეტებს, საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროსა და საქართველოს მეცხოველეობის საბჭოთა მეურნეობების ტრესტს მიაღწიონ იმას, რომ 1952 წელს თვითეულმა მანქანა-ტრაქტორთა სადგურმა და მეცხოველეობის სამანქანო სადგურმა, თვითეულმა საბჭოთა მეურნეობამ უთუოდ შეასრულოს თიბვისა და საკვების დასილოსების გეგმები, რისთვისაც:

ა) დაკომპლექტონ სატრაქტორო აგრეგატები გამოცდილი კოლმეურნეებით, ტრაქტორისტებით, საბჭოთა მეურნეობების მუშებით, რათა უზრუნველყონ თვითეული სატრაქტორო და თვითმავალი სათიბი და სილოსსაჭრელი მანქანის გამომუშავების დღიური და ცვლის ნორმების შესრულება;

ბ) სეზონში თვითეული სატრაქტორო სამძღვანელი და კომპლექტიანი მისამძღვანელი სათიბი მანქანის გამომუშავება აიყვანონ სულ მცირე 600 ჰექტარამდე, თვითეული თვითმავალი სათიბი მანქანისა — სულ მცირე 1.000 ჰექტარამდე და თვითეული სატრაქტორო სილოსსაჭრელი მანქანისა—800-1.000 ტონამდე;

გ) თივის აღების დაწყებამდე გამოჰყონ ბუნებრივი და ნათესი ბალახეულის ნაკვეთები ტრაქტორით თიბვისათვის, მოაწყონ ამ ნაკვეთების გულმოდგინე მომზადება მექანიზებული აღებისათვის, უზრუნველყონ, რომ გამოიყოს საჭირო რაოდენობით კოლმეურნეობებისა და მანქანა-ტრაქტორთა სადგურების ცოცხალი გამწევი ძალა და ავტოტრანსპორტი სასილოსე მასის მისაზიდავად და კოლმეურნეები სასილოსე კულტურებისა და ველის ბალახეულის ასაღებად, აგრეთვე სილოსსაჭრელი მანქანების მომსახურებისათვის;

დ) უზრუნველყონ თივის ასაღებ ისეთი სამუშაოთა კომპლექსური მექანიზაცია, როგორიც არის: ბალახების მოთიბვა, თივის მოფოცხვა და დაზვინვა და ამისათვის მანქანა-ტრაქტორთა სადგურებში, მეცხოველეობის სამანქანო სადგურებსა და საბჭოთა მეურნეობებში მოაწყონ უმარტივესი სატრაქტორო კაბდოებისა და თივის საზვინავების კეთება.

8. დაევალოს მანქანა-ტრაქტორთა სადგურებისა და მეცხოველეობის სამანქანო სადგურების დირექტორებს კოლმეურნეობებში საკვების დასილოსების პერიოდში კოლმეურნეობათა საჭაპანო ტრანსპორტის მაქსიმალურად გამოყენებასთან ერთად სასილოსე მასის გადასაზიდავად გამოიყენონ მანქანა-ტრაქტორთა სადგურებისა და მეცხოველეობის სამანქანო სადგურების ავტოტრანსპორტი.

9. იმ მიზნით, რომ მანქანა-ტრაქტორთა სადგურები, მეცხოველეობის სამანქანო სადგურები, კოლმეურნეობები და საბჭოთა მეურნეობები დროზე და სრულად მოემზადონ თივის აღებისა და საკვების დასილოსებისათვის და გადიდდეს ამ სადგურების, კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ხელმძღვანელთა პასუხისმგებლობა თივის ასაღები, სილოსსაჭრელი მანქანებისა და სასილოსე ნაგებობათა რემონტის ხარისხისათვის, — რაიონმასკომების, მანქანა-ტრაქტორთა სადგურების, კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების წარმომადგენელთაგან შემდგარმა კომისიებმა თიბვისა და საკვების დასილოსების დაწყებამდე შეამოწმონ, რამდენად მზად არიან ამ სამუშაოებისათვის მანქანა-ტრაქტორთა სადგურები, მეცხოველეობის სამანქანო სადგურები, კოლმეურნეობები და საბჭოთა მეურნეობები.

კოლმეურნეობების, მანქანა-ტრაქტორთა სადგურების, მეცხოველეობის სამანქანო სადგურებისა და საბჭოთა მეურნეობების შემოწმების შედეგები განხილულ იქნას პარტიის რაიკომებში და რაიაღმასკომებში, ხოლო რაიონებისა—საქართველოს კ. პ. (ბ) საოლქო კომიტე

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსა და საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალურ კომიტეტში

1952 წელს კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში თივის აღებისა და საკვების დასილოსების შესახებ

(დასასრული)

უყონ სათიბი ნაკვეთები სახმიწფონდიდან და სახტყეფონდიდან.

12. დაევალოს საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს განუმარტოს მანქანა-ტრაქტორთა სადგურებისა და მეცხოველეობის სამანქანო სადგურების მუშაკებს, რომ ძალაში რჩება სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დადგენილების შემდეგი ნაწილი:

ა) მტს-ებისა და მეცხოველეობის სამანქანო სადგურების შოფრებს, რომლებიც კოლმეურნეობებში სასილოსე მასის გადაზიდვაზე მუშაობენ, ძირითადი საზღაურის გარდა, ჩადებული სილოსის ყოველ ტონაზე დამატებით ეძლევათ 50 კაპიკი იმ პირობით, რომ ისინი შეასრულებენ გამომუშავების დღიურ ნორმას. შოფრებისათვის საზღაურის მიცემა უნდა წარმოებდეს მტს-ის აგრონომისა და კოლმეურნეობის თავმჯდომარის მიერ სამუშაოთა მიღების აქტის საფუძველზე იმ შემოსავლიდან, რომელსაც ავტოტრანსპორტის მუშაობა იძლევა;

ბ) დაწესებულია მტს-ების, სოფლის მეურნეობის საოლქო სამმართველოებისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროების ხუთდღიური ოპერატიული ანგარიშგება კოლმეურნეობებში თიბვისა და საკვების დასილოსების სატრაქტორო სამუშაოთა წარმოების შესახებ.

13. სახმიწფონდის სეზონური საძოვრების სწორად გამოყენებისა და ზამთრობით პირუტყვის საძოვრებზე წარმატებით მოვლის მიზნით, დაევალოს საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს, თბილისის ოლქისა და სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის აღმასკომებსა და საქართველოს კ. პ. (ბ) საოლქო კომიტეტებს უზრუნველყონ უხეში საკვების სადაზღვევო მარაგის შექმნა ზამთრის საძოვრებზე იმ ანგარიშით, რომ თვითეულ სულ რქიან პირუტყვზე მოდიოდეს სულ ცოტა 7-8 ცენტნერი, ცხენზე—10-12 ცენტნერი და თითო ცხვარზე—1,5 ცენტნერი (საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილების შესაბამისად), — რისთვისაც:

ა) დაუყოვნებლივ გაგზავნონ ყველა კოლმეურნეობიდან, რომელიც სამომთაბარო მეცხოველეობას მისდევს, მუშახელის და ტრანსპორტის საჭირო რაოდენობა ჩრდილოეთ კავკასიისა და აზერბაიჯანის სსრ ზამთრის საძოვრებზე და გააჩაღონ მუშაობა თივის დასამზადებლად, რათა თივის აღება აზერბაიჯანის სსრ ზამთრის საძოვრების ყველა ნაკვეთზე ძირითადად დაამთავრონ 15 ივნისამდე და ჩრდილოეთ კავკასიის ზამთრის საძოვრების ყველა ნაკვეთზე —20 ივნისამდე.

უზრუნველყონ ჩრდილოეთ კავკასიის და წითელწყაროს მეცხოველეობის სამანქანო სადგურების ყველა თივისასაღები აგრეგატისა და ტრაქტორის სრული დატვირთვით გამოყენება თიბვაზე;

ბ) მოაწყონ საჭირო შემთხვევებში თივის დაწნეხა და მისი მოზიდვა კოლმეურნეობათა ძირითადი მიწათსარგებლობის ნაკვეთებიდან ზამთრის საძოვრების ნაკვეთებზე;

გ) აუკრძალონ კოლმეურნეობებს იმ პირუტყვის ზამთრის საძოვრებზე გადარეკვა, რომელიც დაწესებული ოდენობით არ არის უზრუნველყოფილი საკვების სადაზღვევო მარაგით, სადგომებითა და სარწყულებლებით.

14. დაევალოს საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს, თბილისის საოლქო აღმასკომს, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის საოლქო აღმასკომსა და საქართველოს კ. პ. (ბ) საოლქო კომიტეტებს ორი კვირის ვადაში შეიმუშაონ და დაამტკიცონ რაიონებისა და კოლმეურნეობების მიხედვით 1952-1953 წელს პირუტყვის ზამთრის საძოვრებზე გადარეკვის გეგმა.

15. საოლქო აღმასკომებმა, ავტონომიური სს რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებმა და საქართველოს კ. პ. (ბ) საოლქო კომიტეტებმა კოლმეურნეობებს აცნობონ, რომ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დადგენილებით რჩება ეძლევათ კოლმეურნეობებს, როცა ისინი ამას საჭიროდ მიიჩნევენ, კოლმეურნეთა საერთო კრებების გადაწყვეტილებებით, თივის აღების სამუშაოებზე მუშახელის დამატებითი მოზიდვისათვის და უხეში და წვნიანი საკვებით საზოგადოებრივი მეცხოველეობის უზრუნველყოფის გეგმების უცილობლად შესრულების მიზნით, შემოიღონ 1952 წელს საკვების დამზადებაზე მომუშავე კოლმეურნეების შემდეგი წახალისება:

ა) აძლიონ თივის აღებაზე მომუშავე კოლმეურნეებს, გარდა შრომადღეებით ძირითადი ანაზღაურებისა, აღებული და დაზვინული თივის შეათედი ნაწილი;

ბ) ცხენის სათიბი მანქანებით მომუშავე კოლმეურნეებს დამატებით აძლიონ ყოველ ჰექტარ სათიბზე, რომელიც პურის აღების დაწყებამდე გათიბულია 40 ჰექტარის გადამეტებით, ოც-ოცი კილოგრამი თივა.

იმ თივის დარიცხვა, რომელიც კოლმეურნეებს ერგებათ თივის აღებისათვის, უნდა წარმოებდეს თივის დაზვინვისა და მიღების მიხედვით გაზომვის ან აწონის გზით.

კოლმეურნეობათა გამგეობების შეხედულებისამებრ, პირუტყვის საზოგადოებრივი სულადობის თივით უზრუნველყოფის მიხედვით, დაშვებულ იქნას კოლმეურნეთა კუთვნილი თივის შეცვლა ჩალით და სხვა საკვებით;

გ) დაერიცხოთ კოლმეურნეებს შრომადღეები ორმაგი რაოდენობით—დაწესებული ნორმების გადამეტებით საკვების დასილოსებაზე შესრულებული სამუშაოსათვის.

16. განმარტებულ იქნას, რომ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დადგენილებით:

ა) საოლქო აღმასკომებსა და რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებს უფლება ეძლევათ საბჭოთა მეურნეობებში თიბვისა და საკვების დასილოსების სამუშაოებზე მოიზიდონ სოფლების, ქალაქებისა და ქალაქის ტიპის დაბების მშრომელი მოსახლეობა იმ წესით და პირობებით, რომლებიც დაწესებულია სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დადგენილებით;

ბ) 1952 წლისათვის ძალაში რჩება სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დადგენილების ნაწილი, რომელიც შეეხება საბჭოთა მეურნეობების იმ მუშების წახალისებას, რომლებიც თიბვაზე და საკვების დასილოსებაზე მუშაობენ, და თივის აღების სამუშაოებზე იმ შრომისუნარიან მოსახლეთა და მათი ოჯახის წევრების მოზიდვას, რომლებიც საბჭოთა მეურნეობების ტერიტორიაზე ცხოვრობენ და არ მუშაობენ მრეწველობაში და ტრანსპორტზე.

17. რადგან ჩვენს რესპუბლიკაში თივის მარაგის შექმნის საქმეს დიდი სახელმწიფოებრივი მნიშვნელობა აქვს, დაევალოს სსრ კავშირის დამზადებათა სამინისტროს რწმუნებულს საქართველოს სს რესპუბლიკაში, საოლქო აღმასკომებს, ასს რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებს, რაიაღმასკომებს, საქართველოს კ. პ. (ბ) საოლქო კომიტეტებსა და რაიკომებს,—უზრუნველყონ, რომ 1952 წელს თვითეულმა კოლმეურნეობამ აუცილებლად შეასრულოს სახელმწიფოსათვის პირველი ნათიბი და კარგი ხარისხის თივის საგალდებულო ჩაბარება.

18. დაევალოს საოლქო აღმასკომებსა და ასს რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებს ერთი კვირის ვადაში, ამ დადგენილების შესაბამისად, შეიმუშაონ კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში თიბვისა და საკვების დასილოსების ღონისძიებანი, ამასთან გამოაქვეყნონ ამ საკითხზე მიღებული დადგენილებანი საოლქო და რაიონულ პრესაში.

19. დაევალოს თბილისისა და ქუთაისის საოლქო აღმასკომებს, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებს, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის საოლქო აღმასკომსა და საქართველოს კ. პ. (ბ) საოლქო კომიტეტებს:

ა) გაგზავნონ საოლქო აღმასკომების, ასს რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოების, რაიაღმასკომების, საქართველოს კ. პ. (ბ) საოლქო კომიტეტებისა და რაიკომების პასუხისმგებელი მუშაკები კოლმეურნეობებში თივის აღებისა და საკვების დასილოსების ორგანიზაციისა და წარმატებით დამთავრებისათვის;

განიხილონ ყოველ ხუთდღიურში საკითხები, თუ როგორ მიმდინარეობს თივის აღება და დასილოსება კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში და მიიღონ ოპერატიული ღონისძიებანი ამ სამუშაოთა შესრულებაში ნაკლოვანებების აღმოსაფხვრელად;

ბ) ყოველ 5 დღეში მოახსენონ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსა და საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალურ კომიტეტს, როგორ სრულდება ეს დადგენილება.

მშრომელთა მრისხანე პროტესტები ამერიკელ-ინგლისელ აგრესორთა ბოროტმოქმედების წინააღმდეგ

ამერიკელ ავაზაკთა ბოროტმოქმედება

—დაუყოვნებლივ შეწყდეს ამერიკელ ბარბაროსთა, მეოცე საუკუნის ამ კაციჭამიათა მხეცობა, რასაც ისინი სჩადიან კორეელი და ჩინელი სამხედრო ტყვეების მიმართ, — აცხადებდა თვითეული ორატორი თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის პროფესორ-მასწავლებელთა, სტუდენტთა და მოსამსახურეთა მიტინგზე.

კუნძულ კოჯედოზე და პუსანის რაიონში კორეელ და ჩინელ სამხედრო ტყვეთა წინააღმდეგ ამერიკელთა მიერ ჩადენილი ახალი დიდი დანაშაულის შესახებ მიტინგზე ინფორმაცია გააკეთა ინსტიტუტის დირექტორმა, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორმა პროფესორმა მ. საკაშვილმა.

— მთელი მსოფლიოს პროგრესულად მოაზროვნე მილიონობით ადამიანი, — თქვა მან, — აღშფოთებულია ამერიკელ ოკუპანტთა, მეოცე საუკუნის ამ „ცივილიზებულ“ ველურთა არაადამიანური დანაშაულობით. ამერიკელ კაციჭამიათა მხეცობამ დიდად გადააჭარბა ჰიტლერელთა უსაზიზღრეს დანაშაულობას.

დაე იცოდნენ ამერიკელმა ოკუპანტებმა, რომ ისტორია მათ არ აპატიებს ამ საზიზღრობას.

ჩვენ, საბჭოთა მედიცინის მუშაკები, ყოველ ღონეს ვიხმართ, რათა თავდადებული შრომით განვამტკიცოთ ჩვენი სამშობლოს ძლიერება. ჩვენი ინსტიტუტის მეცნიერი მუშაკები, სტუდენტები და მოსამსახურენი მოვითხოვთ დაუყოვნებლივ შეწყდეს ამერიკელთა თარეში კორეაში, შეწყდეს კორეელ და ჩინელ სამხედრო ტყვეთა ხოცვა-ჟლეტა.

— ჯერ თვალზე ცრემლი არ შეშრობიათ იმ დედებსა და მამებს, დებსა და ძმებს,—ამბობს მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი ვ. ანდღულაძე, — რომელთა შვილები და ძმები მაიდანეკისა და ოსვენციმის საკონცენტრაციო ჯურღმულებში უსასტიკესი წამებით დაიღუპნენ. და აი უკვე გაისმის ჟრუანტელის მომგვრელი სიტყვები—კოჯედო და პუსანი. სულ მოკლე ხნის წინათ მშვიდობისმოყვარე კორეელი ადამიანებით დასახლებული კოჯედო და პუსანი ამერიკელ აგრესორთა დიდი ბოროტმოქმედების ობიექტებად გადაიქცნენ. ისტორია სასტიკად დასჯის ამ ახალ დანაშაულობათა ჩამდენთ.

ინსტიტუტის კოლექტივის სახელით სასტიკი პროტესტი განაცხადეს და ამერიკელ ოკუპანტთა დანაშაულობის დაუყოვნებლივ შეწყვეტა მოითხოვეს ფრიადოსანმა სტუდენტმა ბ. დიდებულიძემ, ინსტიტუტის თანამშრომელმა ლ. ბაკურაძემ, კლინიკურმა ორდინატორმა შ. ხეცურიანმა.

მიტინგის მონაწილეებმა ერთსულოვნად მიიღეს რეზოლუცია, რომლითაც გმობენ ამერიკელი ბანდიტების დანაშაულებრივ მოქმედებას.

მანქანათმშენებელთა პროტესტი

ამერიკელ აგრესორთა ახალმა ავაზაკობამ, მათ მიერ კორეის ოდესღაც მშვიდობიანი კუნძულის კოჯედოს სიკვდილის კუნძულად გადაქცევამ საბჭოთა ხალხის უდიდესი აღშფოთება და გულისწყრომა გამოიწვია. მთელი საბჭოთა ხალხის აღშფოთების ხმას თავიანთი ხმა შეუერთეს თბილისის ორჯონიკიძის სახელობის მანქანათმშენებელი ქარხნის მუშებმა, მოსამსახურეებმა და ინჟინერ-ტექნიკოსებმა. მიტინგზე, რომელიც ამერიკელი იმპერიალისტების ახალ ბოროტმოქმედებათა საპროტესტოდ გაიმართა, სიტყვა წარმოთქვა საგეგმო განყოფილების უფროსმა ამხ. ნ. ფილიმონოვმა. მან განაცხადა:

— მსოფლიოს ყველა პატიოსანი ადამიანი მტკიცე პროტესტს აცხადებს კაცობრიობის მტრების — ამერიკელი იმპერიალისტების ახალი ავაზაკობის წინააღმდეგ. ამერიკელი აგრესორები მიმართავენ ადამიანთა მასობრივი მოსპობის ყველა საშუალებას — ბაქტერიოლოგიურ და ქიმიურ იარაღს, ისინი უმაგალითო მხეცობას სჩადიან კორეელი და ჩინელი სამხედრო ტყვეების მიმართ. მთელი მსოფლიოს მშვიდობისმოყვარე პროგრესულ ძალებთან ერთად ჩვენ მოვითხოვთ ბოლო მოეღოს ამერიკელ დამპყრობთა მხეცობას კორეაში.

— ამერიკელი აგრესორების მხეცობა კორეაში, — თქვა წარჩინებულმა ოსტატმა კ. კილაძემ, — ყველა პატიოსანი ადამიანის მრისხანებას იწვევს. მე ჩემს ხმას ვუერთებ მილიონობით მშვიდობისმოყვარე ადამიანთა ხმას. ჩვენ მოვითხოვთ კორეელი ხალხის წინააღმდეგ დამპყრობლური ომის დაუყოვნებლივ შეწყვეტას.

წარჩინებულმა მეყალიბემ პ. მორდვინოვმა ამერიკელ ავაზაკთა ახალი ბოროტმოქმედების წინააღმდეგ პროტესტის ნიშნად იკისრა საწარმოო დავალება შეასრულოს სამმაგად.

სიტყვები წარმოთქვეს ინჟინერ-კონსტრუქტორმა რ. გერმანოვმა, ოსტატმა გ. კარაპეტიანმა და სხვებმა.

მიტინგის მონაწილეებმა მიიღეს რეზოლუცია, რომლითაც გამოთქვეს თავიანთი გულისწყრომა ამერიკელ აგრესორთა სისხლიანი ბოროტმოქმედების გამო.

ავღაგმოთ იმპერიალისტთა საზიზღარი მხეცობა

გუშინ სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საქტო დარბაზში მიტინგზე შეიკრიბნენ პროფესორ-მასწავლებლები, სტუდენტები და მუშა-მოსამსახურეები.

მიტინგის გახსნის შემდეგ პირველი სიტყვა მიეცა მედიცინის მეცნიერებათა დოქტორს პროფესორ ა. ლეჟავას.

— კუნძულ კოჯედოზე და პუსანში ამერიკელ იმპერიალისტთა უსაზიზღრესმა ბოროტმოქმედებამ, — თქვა მან, — მთელი პროგრესული კაცობრიობა შეაძრწუნა. მშვიდობის წინააღმდეგ ჩადენილი ეს ახალი ვერაგული აქტი მოწმობს, რომ ამერიკის იმპერიალიზმი უკიდურეს ზომას მიმართავს ადამიანთა მასობრივი მოსპობისათვის. ამერიკელი ბოროტმოქმედნი ხოცავენ და ასახიჩრებენ ბავშვებსა და ქალებს, უმწეო მოხუცებს, ანადგურებენ მშვიდობიან ქალაქებსა და სოფლებს. მათ ეს არ იკმარეს და თავიანთი სისხლიანი ხელი აღმართეს კორეელი და ჩინელი სამხედრო ტყვეების წინააღმდეგ. მშვიდობის მეგზურთ კი არ ამინებს მშვიდობის გზაზე აღმართული ეს სისხლიანი ხელები, არამედ აღაშფოთებს და რაზმავს ომის გამჩაღებელთა ასალგამავად.

აღვკვეთოთ ამერიკელთა ბოროტმოქმედება კორეაში, პასუხი მოვთხოვოთ კაციჭამია იმპერიალისტებს! — ეს აზრი იყო გამოხატული თვითეული ორატორის სიტყვაში.

ტრიბუნაზეა იურიდიული ფაკულტეტის სტუდენტი ამხ. თენეიშვილი. იგი ამბობს:

— ჩვენი უნივერსიტეტის ახალგაზრდობა შეუპოვარი სწავლითა და შრომით უპასუხებს აგრესორთა სამარცხვინო პროვოკაციებს. ძმურ სოლიდარობას და თანაგრძნობას ვუცხადებთ გმირ კორეელ ხალხს და ჩინელ მოხალისეებს, რომლებიც მამაცურად იცავენ თავიანთ სამშობლოს თავისუფლებასა და დამოუკიდებლობას.

ამაღელვებელი სიტყვა წარმოთქვა ისტორიის ფაკულტეტის დეკანმა დოცენტმა აკაკი სურგულაძემ:

— მთელმა ხალხმა ერთბაშად რომ ამოისუნთქოს, ქარიშხალი იქნებაო, — ამბობს ჩინური ანდაზა. მთელ მსოფლიოში გრგვინავს პროტესტის ქარიშხალი ამერიკელთა მხეცობის აღსაკვეთად. მათ კუნძული კოჯედო სიკვდილის ბანაკად გადააქციეს. მსოფლიოსათვის უკვე ნათელია, თუ რა სურთ აგრესორებს. მათი მიზანია ყველა საშუალებით გაჟლიტონ თავისუფლებისმოყვარე ხალხები, მოსპონ ცივილიზაცია. მშვიდობისმოყვარე ხალხთა მისწრაფებაა ალაგმონ ომის გამჩაღებლები. აგრესორები თავიანთ ბნელ ზრახვებს ვერ განახორციელებენ, რადგან მშვიდობის მომხრეთა ბანაკი, რომელსაც სათავეში უდგას დიდი სტალინი, უძლეველია.

სიტყვები წარმოთქვეს აგრეთვე დოცენტებმა ი. ტაბაღუამ, ასპირანტმა ა. გელაშვილმა, ბიბლიოთეკის თანამშრომელმა ე. ებანოიძემ.

ერთხმად მიღებულ რეზოლუციაში მიტინგის მონაწილენი გმობენ ამერიკელ იმპერიალისტთა დანაშაულს, მხურვალე სოლიდარობას უცხადებენ გმირ კორეელ ხალხს, მტკიცედ მოითხოვენ ამერიკელ აგრესორთა გაუგონარი მხეცობის შეწყვეტას.

გავაძლიეროთ ბრძოლა სახელმწიფო და საზოგადო ქონების მფაცებლებთან

ხუთი წლის წინათ, 1947 წლის 4 ივნისს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა გამოსცა ბრძანებულება „სახელმწიფო და საზოგადო ქონების მტაცებლობისათვის სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის შესახებ“. ბრძანებულების უდიდესი ისტორიული მნიშვნელობა იმაში მდგომარეობს, რომ მან ერთიანობა შეიტანა კანონმდებლობაში სოციალისტური საკუთრების მტაცებლობისათვის სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის შესახებ და გააძლიერა ეს პასუხისმგებლობა. ბრძანებულება გამოხატავს საბჭოთა ხალხის ნებას — მკაცრად დაისაჯონ სახალხო დოვლათის მტაცებლები და ყოველმხრივ განმტკიცდეს სოციალისტური საკუთრება, როგორც საბჭოთა წყობილების ეკონომიური საფუძველი.

სოციალისტური საკუთრების დაცვისა და განმტკიცებისათვის ყოველთვის განსაკუთრებით ზრუნავდნენ ბოლშევიკური პარტია, საბჭოთა მთავრობა, დიდი ბელადები ლენინი და სტალინი. დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის გამარჯვების მეორე დღესვე დეკრეტში მიწას შესახებ აღიარებულ იქნა, რომ რაიმე ზიანის მიყენება კონფისკებული ქონებისათვის, რომელიც უკვე ეკუთვნის მთელ ხალხს, ცხადდება მძიმე დანაშაულად და ისჯება რევოლუციური სასამართლოს მიერ.

1917 წლის 20 ნოემბერს ვ. ი. ლენინი მოუწოდებდა მოსახლეობას: „გაუფრთხილდით, მოუარეთ თვალისჩინივით მიწას, პურს, ფაბრიკებს. იარაღს, პროდუქტებს, ტრანსპორტს — ამიერიდან ყოველივე ეს **მთლიანად** თქვენი, საერთო-სახალხო საკუთრება იქნება“.

1921 წელს, ახალ ეკონომიურ პოლიტიკაზე გადასვლისას, ლენინი მოითხოვდა გადასინჯულიყო და გადამუშავებულიყო კანონმდებლობა სოციალისტური საკუთრების დაცვის შესახებ, ისე რომ დასჯილიყო (წინანდელთან შედარებით სამჯერ უფრო მკაცრად) „ყოველგვარი **მტაცებლობა** და **სახელმწიფო კონტროლის, ზედამხედველობის, აღრიცხვის** ყოველგვარი **თავისარიდება**, პირდაპირი თუ არაპირდაპირი, აშკარა თუ ფარული“.

ლენინგრადის პარტიული ორგანიზაციის აქტივის კრებაზე წაკითხულ მოხსენებაში „საბჭოთა კავშირის სამეურნეო მდგომარეობისა და პარტიის პოლიტიკის შესახებ“ 1926 წლის 13 აპრილს ამხანაგი სტალინი აღნიშნავდა სახელმწიფო და საზოგადო ქონების მტაცებელთა წინააღმდეგ გადამწყვეტი ბრძოლის აუცილებლობას, რადგან „...ქურდი, რომელიც სახალხო დოვლათს იტაცებს და ძირს უთხრის სახალხო მეურნეობის ინტერესებს, იგივე ჯაშუში და გამცემელია, თუ უარესი არა“.

სოციალისტური საკუთრების დაცვისათვის ბრძოლას განსაკუთრებული მნიშვნელობა მიენიჭა საბჭოთა სახელმწიფოს განვითარების მეორე ფაზაში, როცა სოციალისტური საკუთრება გახდა საკუთრების ძირითადი ფორმა ქალაქად და სოფლად, როცა პირველი ხუთწლიანი გეგმის განხორციელების შედეგად სახალხო მეურნეობის ყველა სფეროში დამკვიდრებულ იქნა სოციალიზმის პრინციპი და განიდევნა იქიდან კაპიტალისტური ელემენტები. სოციალიზმის გამარჯვებამ კალაპოტიდან ამოაგდო მომაკვდავი კლასების უკანასკნელი ნაშთები, ყველა ჯურის ანტისაბჭოთა ელემენტები, რომლებიც საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ აშკარა იერიშიდან ბრძოლის ფარული ხერხების გამოყენებაზე გადავიდნენ. „მთავარი ამ ყოფილი ადამიანების „მოღვაწეობაში“ ის არის, — ამბობდა ამხანაგი სტალინი, — რომ ისინი აწყობენ სახელმწიფო ქონების, კოოპერაციული ქონების, საკოლმეურნეო საკუთრების მასობრივ ქურდობასა და მტაცებლობას“. მასობრივი ქურდობისა და მტაცებლობის მოწყობის გზით ისინი ცდილობდნენ შეერყიათ საზოგადოებრივი საკუთრება, როგორც საბჭოთა ხელისუფლების საფუძველი. საჭირო გახდა სოციალისტური საკუთრების მტაცებელთა წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერება. ამ მხრივ უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა 1932 წლის 7 აგვისტოს ისტორიულ კანონს „სახელმწიფო საწარმოების, კოლმეურნეობების და კოოპერაციის ქონების დაცვისა და საზოგადოებრივი (სოციალისტური) საკუთრების განმტკიცების შესახებ“.

7 აგვისტოს კანონმა სოციალისტური საკუთრება საბჭოთა წყობილების წმიდათა-წმიდა და ხელშეუხებელ საფუძვლად გამოაცხადა, ხოლო ის პირნი, რომელნიც ხელყოფენ სოციალისტურ საკუთრებას, ხალხის მტრებად აღიარა. აღნიშნავდა რა 1932 წლის 7 აგვისტოს კანონის მნიშვნელობას, ამხანაგი სტალინი 1933 წლის 7 იანვარს ამბობდა, რომ „ეს კანონი არის რევოლუციური კანონიერების საფუძვალი ამქამად“. რევოლუციური კანონიერება კი „თავისი მახვილით მიმართულია... ქურდებისა და მავნებლების წინააღმდეგ საზოგადოებრივ მეურნეობაში, ხულიგნებისა და საზოგადოებრივი საკუთრების მტაცებლების წინააღმდეგ. მაშასადამე, რევოლუციური კანონიერების ძირითადი საზრუნავი ჩვენს დროში არის საზოგადოებრივი საკუთრების დაცვა და არა სხვა რამ“.

საბჭოთა სახელმწიფოს განვითარების მეორე ფაზაში სოციალისტური საკუთრების დაცვა ჩვენი სახელმწიფოს ერთ-ერთი ძირითადი ფუნქცია გახდა. ახასიათებდა რა სოციალისტური სახელმწიფოს განვითარების მეორე ფაზის თავისებურებებს, ამხანაგი სტალინი ამბობდა, რომ „ზედმეტი გახდა — გაქრა ქვეყნის შიგნით სამხედრო დათრგუნვის ფუნქცია, ვინაიდან ექსპლოატაცია მოსპობილია, ექსპლოატატორები აღარ არიან და დასათრგუნავი არავინ არის. დათრგუნვის ფუნქციის ნაცვლად სახელმწიფოს გაუჩნდა ხალხის დოვლათის დამტაცებლებისა და ქურდებისაგან სოციალისტური საკუთრების დაცვის ფუნქცია“. ანხორციელებს რა თავის ამ ფუნქციას, საბჭოთა სახელმწიფო ულმობელ ბრძოლას აწარმოებს სახალხო დოვლათის მტაცებლებთან, ყოველმხრივ იცავს და განამტკიცებს სოციალისტურ საკუთრებას როგორც ჩვენი წყობილების საფუძველს.

დიდი სამამულო ომის ძლევამოსილად დამთავრების შემდეგ საბჭოთა სახელმწიფო კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით წარმატებით წყვეტს სოციალიზმიდან კომუნიზმში თანდათანობით გადასვლის ამოცანას. უდიდესი წარმატებანი სამეურნეო და კულტურული მშენებლობის დარგში, ბუნების გარდაქმნის სტალინური გეგმის განხორციელება და კომუნიზმის დიადი მშენებლობანი ნათლად მეტყველებენ იმაზე, თუ რა ჩქარი ტემპით მიდის ჩვენი ქვეყანა წინ, კომუნიზმისაკენ. მაგრამ ეს წარმატებები ოდნავაც არ ამცირებს სოციალისტური საკუთრების დაცვის მნიშვნელობას. პირიქით, კომუნიზმის მშენებლობის დიადი ამოცანები არ შეიძლება წარმატებით გადაიჭრას, თუ კიდევ უფრო არ გაიზარდა და არ განმტკიცდა სოციალისტური საკუთრება, თუ გადაჭრით არ აღმოიფხვრა სოციალისტური საკუთრების მტაცებლობის ფაქტები. ამიტომ საბჭოთა სახელმწიფო კი არ ასუსტებს, არამედ კიდევ უფრო აძლიერებს ბრძოლას სოციალისტური საკუთრების მტაცებლების წინააღმდეგ.

საბჭოთა ადამიანებს, რომლებიც თავდადებული შრომით აშენებენ კომუნიზმს, შეგნებული აქვთ, რომ მათი პირადი კეთილდღეობა, მატერიალურ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილება დამოკიდებულია საერთო კეთილდღეობაზე, სოციალისტური საკუთრების განმტკიცებაზე. ამიტომ ისინი ყოველდღიურად ზრუნავენ სახალხო დოვლათის დაცვისათვის. სულ უფრო ნაკლები ხდება იმ ადამიანთა რიცხვი, რომელთა შეგნებაში ჯერ კიდევ ცოცხლობენ კაპიტალიზმის ნაშთები და რომლებიც პატიოსანი შრომის ნაცვლად პარაზიტულ ცხოვრებას ეწევიან, იტაცებენ საერთო სახალხო დოვლათს. საბჭოთა ადამიანების შეგნებულობის ამაღლება კი არ ამცირებს, არამედ, პირიქით, ზრდის ცალკეული პარაზიტული ელემენტების, ქურდებისა და მტაცებლების წინააღმდეგ ბრძოლის მნიშვნელობას.

რაც უფრო დიდია ჩვენი წარმატებანი სამეურნეო და კულტურული მშენებლობის დარგში, რაც უფრო მაღალია საბჭოთა ადამიანების პატრიოტიზმი და შეგნებულობა, მით უფრო მოუთმენელია საერთოდ დამნაშავეთა და კერძოდ სახელმწიფო და საზოგადო ქონების ქურდებისა და მტაცებლების არსებობა. ამიტომ არის, რომ 1947 წლის 4 ივნისის ბრძანებულებით მნიშვნელოვნად გაძლიერდა სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა სოციალისტური საკუთრების მტაცებლობის სხვადასხვა სახისათვის, როგორიც არის ქურდობა, მითვისება, გაფლანგვა და სხვ.

ბრძანებულების მიხედვით სახელმწიფო ქონების მტაცებლობა ისჯება შრომაგასწორების ბანაკში მოთავსებით შვიდიდან ათ წლამდე. თუ დატაცება ჩადენილია განმეორებით, ან ორგანიზებული ჯგუფის (ბანდის) მიერ, ან დიდი რაოდენობით, დამნაშავე ისჯება შრომაგასწორების ბანაკში მოთავსებით 10-დან 25 წლამდე ვადით, ქონების კონფისკაციით.

4 ივნისის ბრძანებულება აწესებს მკაცრ სისხლის სამართლის პასუხისმგებლობას საკოლმეურნეო, კოოპერაციული და სხვა სახის საზოგადო ქონების დატაცებისათვის. ეს დანაშაული ისჯება შრომაგასწორების ბანაკში მოთავსებით 5-დან 8 წლამდე, ხოლო განმეორებით, ან ორგანიზებული ჯგუფის მიერ მტაცებლობის შემთხვევაში, ან თუ ქონება დატაცებულია დიდი რაოდენობით — შრომა-გასწორების ბანაკში მოთავსებით 8-დან 20 წლამდე ვადით, ქონების კონფისკაციით.

სახელმწიფო და საზოგადო ქონების მტაცებლობის მომზადების ან მტაცებლობის ფაქტის განუცხადებლობა ისჯება თავისუფლების აღკვეთით 2-დან 3 წლამდე ან გადასახლებით ხუთიდან შვიდ წლამდე ვადით.

1947 წლის 4 ივნისის კანონი წარმოადგენს სოციალისტური საკუთრების დაცვის მძლავრ იარაღს. საბჭოთა სახელმწიფოს იმ ორგანოთა შორის, რომლებიც მოწოდებული არიან განახორციელონ ეს კანონი, მნიშვნელოვანი ადგილი უკავია საბჭოთა სასამართლოს, მის ძირითად რგოლს — სახალხო სასამართლოს.

როგორ ასრულებენ საქართველოს სახალხო სასამართლოები სახელმწიფო და საზოგადო ქონების მტაცებლებთან ბრძოლის ამოცანას? უნდა ითქვას, რომ ჯერ კიდევ სრულიად არადამაკმაყოფილებლად. სახალხო სასამართლოების მუშაობაში, უკანასკნელ ხანებში ერთგვარი გამოცოცხლების მიუხედავად, კვლავ არის სერიოზული ხასიათის შეცდომები და ნაკლოვანებანი, რომლებიც მნიშვნელოვნად აფერხებენ ბრძოლას სოციალისტური საკუთრების მტაცებლობის წინააღმდეგ.

სასამართლოების მუშაობის მთავარი ნაკლი იმაში მდგომარეობს, რომ ჯერ კიდევ არის სახელმწიფო, კოოპერაციული და საკოლმეურნეო ქონების მტაცებელთა მიმართ არასწორი, მსუბუქი სასჯელის გამოტანის შემთხვევები. აბაშის რაიონის სახალხო სასამართლომ (მოსამართლე ამხ. გაბელაია) ბ. ეფრემაშვილს, რომელმაც 41.583 მან. გაფლანგა, 4 თვის შრომაგასწორებითი მუშაობა მიუსაჯა. საქართველოს სსრ უმაღლესმა სასამართლომ აღნიშნული განაჩენი, როგორც მსუბუქი, გააუქმა. საქმის ხელმეორედ განხილვისას ცხაკაიას რაიონის 1-ლი უბნის სახალხო სასამართლომ (მოსამართლე ამხ. ჯიქია) ეფრემაშვილს მიუსაჯა შრომა-გასწორებითი მუშაობა 12 წლის ვადით.

ივ. წიკლაურმა მიითვისა ასპინძის რაიონის სოფ. რუსთავის შ. რუსთაველის სახელობის კოლმეურნეობის კუთვნილი 1.800 მანეთი. რაიონის სახალხო სასამართლომ (მოსამართლე ამხ. ლებანიძე) წიკლაურს მიუსაჯა შრომა-გასწორების ბანაკში მოთავსება 5 წლის ვადით, მაგრამ არასწორად გაავრცელა მის მიმართ შეღავათი და სასჯელი შეუცვალა 1 წლის ვადით შრომა-გასწორებითი მუშაობით.

გორის რაიონის მე-2 უბნის სახალხო სასამართლომ (მოსამართლე ამხ. ბიბილაშვილი) მაღაზიის გამგე მონაშეროვს 17.574 მანეთის გაფლანგვისათვის მიუსაჯა შრომა-გასწორების ბანაკში მოთავსება 8 წლის ვადით, რაც შეღავათის გავრცელების შედეგად გაუნახევრა. საქმის ხელმეორედ

რა აფერხებს ორთაჭალჰესის მშენებლობას

ორთაჭალჰესის მშენებლებმა, რომლებსაც სათავეში უდგანან ინჟინრები გ. ჩოგოვაძე და ი. ძღებრიშვილი, ძირითადად წელს უნდა დაამთავრონ საკამხალე ბურჯების ამოყვანა, წელსვე საგარანტიო სიმაღლემდე ამოიყვანონ კამხალის მარჯვენა ნაწილი და უზრუნველყონ მომავალ გაზაფხულზე მოსალოდნელი წყალდიდობისას მდინარის თავისუფლად გაშვება მალებს შორის.

თუ ეს სამუშაო მშენებლებმა ვერ შეასრულეს, საეჭვო გახდება დანიშნული ვადისათვის სადგურის ამუშავება.

ორთაჭალჰესის დროზე ამუშავება ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ღონისძიება იქნება თბილისის მოსახლეობის კომუნალურ მომსახურებაში ჩამორჩენის ლიკვიდაციისათვის.

მაგრამ თუ მშენებლებსა და მემონტაჟეებს არ ექნათ შეუფერხებელი სამუშაობის პირობები, თუ მათ საჭირო დახმარება დროზე არ გაუწიეს იმ ორგანიზაციებმა, რომლებსაც ეს ევალებათ, ისე სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოთა შესრულების გრაფიკი დაირღვევა, დანიშნული ვადისათვის სადგურის ამუშავება შეუძლებელი გახდება.

რა უშლის ახლა ხელს მშენებლებს?

უპირველეს ყოვლისა ის, რომ საქართველოს ჰიდროენერგომშენებლობის ტრესტის მაღალვოლტიანი ქსელების სამმართველომ ორთაჭალელი მშენებლების წინაშე ვერ გაახაღდა თავისი ვალდებულება სამშენებლო მოედანზე ამწეს გამართვის შესახებ.

ეს ამწე გამართული უნდა ყოფილიყო რამდენიმე თვის წინათ, მაგრამ სამართველოს ხელმძღვანელთა, პირადად ინჟინერ სერგი კავკასიძის დაუდევრობის შედეგად ამწე ჯერ კიდევ გამართული არ არის და კვლავ გარკვეული დრო იქნება საჭირო, რომ იგი ასამუშავებლად გაამზადონ.

ამწეს გამართვის დაგვიანებამ შეაფერხა საბეტონო სამუშაოების სწრაფი ტემპით წარმართვა, კამხალის მარცხენა მხარეზე მთელ რიგ სამუშაოთა შესრულება. ახლა აქ დაწყებული უნდა იქნას საფარე ბუდეების მონტაჟი, მოკლე ხანში უნდა შეუდგნენ ფარებისა და სხვა კონსტრუქციების მონტაჟსაც, რათა მშენებლებმა უახლოეს ორ თვეში მაინც შეძლონ მდინარის მეორე მხარეზე გადაყვანა. იმ ერთი ბრიგადით, რომელიც მაღალვოლტიანი ქსელების სამმართველოდან ამწეს დასამონტაჟებლად გამოგზავნეს, ამ სამუშაოს უახლოეს კვირეებში შესრულება საეჭვოა.

შეფერხებას იწვევს ისიც, რომ მშენებლებმა დღემდე ვერ მოახერხეს დაეწყოთ სამშენებლო მოედანზე არსებული ორი ძველი სახლის აღება. ამ სახლებში ამჟამად თვითონ ორთაჭალჰესის მშენებლები ცხოვრობენ. უს სახლები რომ აიღონ, სამშენებლო მოედანზე ფარებისა და სხვა მძიმე კონსტრუქციების მისატანი ადგილი რომ გაათავისუფლონ, საჭიროა მშენებლებს სხვა ბინები მისცენ. ეს, რასაკვირველია, თავიდანვე იყო გათვალისწინებული და ამიტომ შეუდგნენ ამ ორიოდე წლის წინათ საბურთალოზე მუშათა საცხოვრებელი სახლების აგებას.

ამ სახლების აგება მინდობილი აქვს იმავე ჰიდროენერგომშენებლობის ტრესტის საბინაო მშენებლობის სამმართველოს, რომელსაც ინჟინერი ვლადიმერ ჩიკვაიძე ხელმძღვანელობს. ორთაჭალელი მშენებლებისათვის დიდი ხნის წინათ უნდა გაეშზადებინათ საცხოვრებელი სახლები. ეს აუცილებელი იყო იმისათვის, რომ მშენებლობის ტერიტორიაზე ორი სახლის აუღებლობას არ შეეფერხებინა საშენებლო-სამონტაჟო სამუშაოთა დაჩქარება. ახლა მშენებლობა შეფერხებულია, მარცხენა მხარის სანაპირო ქუჩების საყრდენი კედელი იმ მონაკვეთზე, სადაც ეს ორი ასაღები სახლი დგას, ამოუყვანელია, სამონტაჟო მოედანთან მძიმე კონსტრუქციების მისატანი გზა არ არის, მარტო ამ საყრდენი კედლის დასამთავრებლად შესასრულებელია 2.000-ზე მეტი კუბმეტრის მოცულობის ბეტონის სამუშაო, მოსაწყობია მდინარის გადასაგდები ზღუდარი და განთავისუფლებული კალაპოტიდან ამოსაღებია მრავალი ათასი კუბმეტრი ღორღი, რაც საჭიროა მომავალი სანაპირო ქუჩის მოსასწორებლად.

ამას წინათ მშენებელთა დაჟინებითი მოთხოვნით საბინაო მშენებლობის სამმართველომ ნაუცბათევად მოათავა ერთი სახლის აგება, ამ სახლის პირველ სართულში და მეორე სართულის ნახევარზე თვითონ ბინათმშენებლები შეასახლა, ხოლო ორთაჭალჰესის მშენებლებისათვის განკუთვნილი და მათივე ტიტულით აგებული ამ სახლის მესამე სართული ჰესის მშენებლებს დაუთმო. მაგრამ გამოირკვა, რომ სახლი ჯერ დამთავრებული არ არის და მასში ცხოვრება შეუძლებელია: მესამე სართულზე სახურავში წვიმა ჩამოდის, ელექტროშუქი გაყვანილი არ არის, ფანჯრები არ იღება და თუ გაიღო, აღარ იხურება, ჭერი გაფუჭებულია, კანალიზაცია მოუწყობელი, ხოლო კიბეები—უმოაჯირო. ღამით უსინათლობის გამო მესამე სართულზე ასვლა ერთობ სახიფათოა. ცხადია, ამის მნახველმა მუშებმა უარი განაცხადეს ასეთ სართულში შესახლებულიყვნენ.

ივლისის ბოლოს, ან ყოველ შემთხვევაში აგვისტოს შუა რიცხვებამდე, მშენებლებმა კამხალის მარცხენა მხარეზე ძირითადად ყველა სამუშაო უნდა მოათავონ და მდინარე კამხალის ამ მხარეზე გადმოაგდონ, რათა დაუყოვნებლივ შეუდგნენ კამხალის მარჯვენა მხარეზე სამუშაოთა შესრულებას. მდინარის მარცხნივ გადასაგდებად საჭიროა ზღუდარის აღება და ახალი მიმართულებით გადატანა, სანაპირო ქუჩის საყრდენი კედლის ნაწილთა შეერთება, მთელ რიგ სხვა შრომატევად სამუშაოთა შესრულება. ყველა ამ სამუშაოს აფერხებს ის, რომ ორი დასანგრევი სახლი აუღებელია, მათ ვერც აიღებენ, მანამ მშენებელთათვის განკუთვნილ სახლს არ დაამთავრებენ.

აქედან ცხადია, რომ ორთაჭალჰესის მშენებლობის შეფერხებაში ძირითადად ბრალი მიუძღვით ჰიდროენერგომშენებლობის ტრესტის მაღალვოლტიანი ქსელებისა და საბინაო მშენებლობის სამმართველოთა ხელმძღვანელებს ს. კავკასიძეს და ვ. ჩიკვაიძეს, რომელთაც ორთაჭალჰესის მშენებლებისათვის გათვალისწინებულ სახლში ბინათმშენებლები შეასახლეს. საკვირველია, რატომ ვერ ამჩნევენ საქართველოს ჰიდროენერგომშენებლობის ტრესტის ხელმძღვანელები იმას, რომ ამხ. კავკასიძე და ჩიკვაიძე ანგარიშს არ უწევენ ორთაჭალჰესის მშენებლობას და თავიანთი მოქმედებით მას ხელსაც კი უშლიან.

დ. ამირანიძე

გორის ბამბეულის კომბინატის მოხამზადებელ საამქროში. ცვლის ოსტატი პ. ხმიდსკაია, მქსელავები ე. ალიმბარაშვილი და ფ. კოკოევა ამოწმებენ ქსელის ხარისხს. სურათზე: (მარჯვნიდან): ფოტო რ. აკოფოვისა

დ. ვაშაკიძის რაციონალიზაციურულ წინადადებათა ბედის შესახებ

წინათ თბილისის ავტოსარემონტო ქარხანაში სამტონიანი სატვირთო მანქანის „ზის-5"-ის კონუსური კბილანას მექანიკური დამუშავებით ამზადებდნენ. ამ წესით აღნიშნული დეტალის დასამზადებლად საჭირო იყო მეტად რთული ოპერაციის შესრულება, აგრეთვე მეტი მუშახელი.

— ხომ არ შეიძლება კონუსური კბილანის დამზადების ტექნოლოგიაში ცვლილების შეტანა? — ეს კითხვა ხშირად ებადებოდა ქარხნის სამჭედლო საამქროს ოსტატს დავით ვაშაკიძეს. სამუშაოდან შინ დაბრუნებული დავითი თავისუფალ დროს ამ კითხვაზე პასუხის გაცემას ანდომებდა, ანგარიშობდა, ნახაზებს ადგენდა...

მონდომებამ, დიდმა საწარმოო გამოცდილებამ დ. ვაშაკიძეს შეაძლებინა წარმატებით გადაეწყვიტა ეს კითხვა. მან შეიმუშავა რაციონალიზატორული წინადადება, რომლითაც კონუსური კბილანის დამზადება შესაძლებელი გახდა დატვიფრვით, ამავე დროს საჭირო ტვიფრიც თვითონ დაამზადა. წინადადება მოიწონეს და მიიღეს. იგი ფართოდ დაინერგა წარმოებაში.

ეს იყო 1949 წლის მარტში. ამ წინადადების განხორციელება საწარმოს ყოველწლიურად 4.388 მანეთ ეკონომიას აძლევს. ქარხნის ადმინისტრაციამ კი წარმოების ნოვატორს დ. ვაშაკიძეს რაციონალიზატორული წინადადების წამოყენებისათვის კუთვნილი პრემიის მხოლოდ 50 პროცენტი მისცა. რატომ, რისთვის? ეს კითხვა დღემდე არ არის გარკვეული.

ამის შემდეგ დ. ვაშაკიძემ კიდევ შეიტანა სხვა რაციონალიზატორული წინადადებანი. 1950 წელს მისი ერთ-ერთი რაციონალიზატორული წინადადების განხორციელებით დიდად გაუმჯობესდა გამბრჯენი მილის წარმოება. მაგრამ მუშა რაციონალიზატორი ახლაც რატომღაც დაჩაგრეს. ამ წინადადების შესახებ არის ადმინისტრაციის განკარგულება: „წინადადება მიღებულ იქნას. ანაზღაურება არ გაიცეს, რადგან ოსტატის ფუნქციაში შედის". ძნელი არ არის იმის გაგება, რომ ასეთი უსულგულო განკარგულებანი ხელს არ უწყობენ რაციონალიზატორთა რიგების ზრდას.

მიმდინარე წლის მარტში დ. ვაშაკიძის რაციონალიზატორული წინადადებით ქარხანაში რესორის ცენტრალური ჭანჭიკის დამზადება დატვიფრვით წარმოებს. ეს ძირეული ცვლილებაა აღნიშნული ჭანჭიკის დამზადების ტექნოლოგიურ პროცესში. ქარხნის მთავარი ინჟინერი გ. ნეფარიძე კი აცხადებს:

— ამხ. ვაშაკიძის წინადადებაში ახალი არაფერია, ამ წესით ჩვენ დიდი ხანია ვამზადებთ სხვა დეტალებს. მის წინადადებაში ტექნიკური შემოქმედების ელემენტები არ არის და ამიტომ ანაზღაურებას ვერ გავცემთ.

ეი კიდევ ერთი „ახალი" სიბაბი, რომელიც არსებითად მიმართულია რაციონალიზატორთა შემოქმედებითი მუშაობის ჩაშლისაკენ.

როგორია სინამდვილეში დატვიფრვით ცენტრალური ჭანჭიკების დამზადების ეკონომიური ეფექტი? მექანიკური წესით ორი ცალი ცენტრალური ჭანჭიკის დასამზადებლად საჭირო იყო 550 გრამი ლითონი, დამზადების შემდეგ კი მზა ჭანჭიკების წონა შეადგენდა 150 გრამს. ამრიგად, ყოველ წყვილ დეტალზე ასობით გრამი ლითონი იკარგებოდა. დატვიფრვის წესის გამოყენებით აღმოფხვრილია ლითონის ეს დანაკარგები, ამასთან 5-ჯერ შემცირდა დეტალის დამზადებისათვის საჭირო დრო.

წელს დ. ვაშაკიძეს რამდენიმე რაციონალიზატორული წინადადება აქვს შეტანილი, მაგრამ მათი „შესწავლა" ჯერ კიდევ ვერ მოხერხდა.

ასე უსულგულოდ ეკიდებიან ავტოსარემონტო ქარხანაში მუშა რაციონალიზატორის დ. ვაშაკიძის შესანიშნავ წინადადებებს. საწარმოს პირველადი პარტიული ორგანიზაცია და საქართველოს კ. პ. (ბ) თბილისის ორგანიზაციის ლენინის რაიკომი უნდა დაინტერესდნენ ამხ. დ. ვაშაკიძის რაციონალიზატორულ წინადადებათა ბედით.

მ. ხეთაგური
ვ. შავგულიძე

კურორტი ქობულეთი სანიმუშოდ უნდა მოემსახუროს დამსვენებლებს

ქობულეთს შესანიშნავი გეოგრაფიული მდებარეობა აქვს. კარგი პლაჟი და თბილი სუბტროპიკული ჰავა, რითაც ეს წარმტაცი მხარე უხვად დაუჯილდოებია ბუნებას, საუკეთესო კეთილმოწყობილი სანატორიუმები და დასასვენებელი სახლები საბჭოთა ადამიანის კულტურული დასვენების ყველა პირობას ქმნიან.

ბევრი სანატორიუმი და დასასვენებელი სახლი წელს უკეთესად მოემზადა საკურორტო სეზონისათვის, ვიდრე გასულ წლებში.

სერიოზული სამუშაოები შესრულდა კურორტთა სამმართველოს ქობულეთის კლინიკურ სანატორიუმში (დირექტორი ამხ. ტ. ხოსწარია). აქ დროულად და მაღალხარისხოვნად მოეწყო სასადილოსა და კლუბის რეკონსტრუქცია, კაპიტალურად შეკეთდა საცხოვრებელი პალატები. ფიზიოთერაპიული და კლინიკური ლაბორატორია შეივსო ახალი ინვენტარით და მოწყობილობით, მოეწყო სამკურნალო აბაზანები, შეკეთდა ზღვის თბილი აბაზანები, ეწყობა სამკურნალო პლაჟი და სხვ. სანატორიუმში სეზონი 1 აპრილიდან გაიხსნა და დღემდე იქ 350-ზე მეტი დამსვენებელი იყო. სეზონის განმავლობაში კი 1.700 კაცი იმკურნალებს.

საკურორტო სეზონი ორგანიზებულად დაიწყეს აგრეთვე საკავშირო პროფსაბჭოს ქობულეთის, სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ციხისძირის დასასვენებელმა სახლებმა და სხვა საკურორტო დაწესებულებებმა.

მაგრამ ქობულეთის საკურორტო დაწესებულებათა მუშაობაში სეზონის გახსნის პირველ დღეებში სერიოზული ნაკლოვანებებიც გამომჟღავნდა. ადგილობრივი პარტიული და საბჭოთა ორგანიზაციები და თვით საკურორტო დაწესებულებათა ხელმძღვანელები ჯერ კიდევ სუსტად იბრძვიან ქალაქისა და კურორტ ქობულეთის კეთილმოწყობისათვის, კულტურული დასვენების ყველა პირობის შექმნისათვის.

ქობულეთის ქუჩები მინგრეულ-მონგრეული, დანაგვიანებული და კეთილმოუწყობელია. ცენტრალურ ქუჩაზეც კი — ლენინის ქუჩაზე, მალე ერთი წელი შესრულდება, რაც ქვაფენილს აგებენ და მოასფალტებას აპირებენ, მაგრამ ეს საქმე დღესაც დაუმთავრებელია.

ქალაქი და [illegible] ტი ქობულეთი დღემდე არ არის უზრუნველყოფილი ელექტროენერგიით. საკმარისია ითქვას, რომ ისეთ კეთილმოწყობილ სამკურნალო დაწესებულებებშიც კი, როგორიც არის ქობულეთის კლინიკური სანატორიუმი, დღისით ავადმყოფები და დამსვენებლები მოკლებული არიან სამკურნალო პროცედურების მიღების საშუალებას ელექტროენერგიის უქონლობის გამო.

აღსანიშნავია, რომ საკურორტო ზონაში და ზოგიერთი საკურორტო დაწესებულების ეზოებში ჯეროვანი ყურადღება არ ექცევა დეკორაციულ და ყვავილოვან მცენარეთა გაშენებასა და მოვლას, გაუწმენდავი ზოგიერთი ქუჩისა და ეზოს საწრეტი არხები.

საკურორტო ზონის მნიშვნელოვანი ნაწილი მოკლებულია წყალსადენს და მთელი რიგი საკურორტო დაწესებულებები ჭის წყლით სარგებლობენ.

ნაკლოვანებებია ავადმყოფთა და დამსვენებელთა ჯანსაღი კვებისა და საჭმელეველო და სასურსათო საქონლით მათი უზრუნველყოფის საქმეშიც.

კურორტგაჭრობის ქობულეთის განყოფილება და ქობულეთის სახოფლო კოოპერატივის გამგეობა ჯეროვან ყურადღებას არ აქცევენ როგორც პროდუქტების, ისე პირველი მოხმარების სამრეწველო საქონლით დამსვენებელთა მომარაგების საქმეს. საკურორტო ზონის სავაჭრო ქსელში ნაკლებად მოიპოვება ისეთი პირველი მოთხოვნილების საგნები და პროდუქტები, როგორიც არის ხელის საპონი, საცურავი კოსტიუმები, ლიმონათი, ნაყინი, მინერალური წყლები, საკონდიტრო ნაწარმი და სხვ.

მოუწესრიგებელია დამსვენებელთა კინომომსახურება. საკურორტო დაწესებულებებში ხშირად ძველ კინოსურათებს უჩვენებენ.

ქობულეთის რაიონის პარტიულმა და საბჭოთა ორგანიზაციებმა და საკურორტო დაწესებულებათა ხელმძღვანელებმა ქალაქი და კურორტი ქობულეთი უფრო კეთილმოწყობილი უნდა გახადონ, სასწრაფოდ აღმოფხვრან ნაკლოვანებები, გადაჭრით გაუუმჯობესონ დამსვენებელთა მომსახურება.

დ. პაიჭაძე,
„კომუნისტის" საკუთარი კორესპონდენტი

სასპორტო სეზონს მოუმზადებელი შეხვდნენ

რუსთაველის ფიზკულტურელები მოუთმენლად მოელოდნენ ახალი სასპორტო სეზონის გახსნას. მათ იმედი ჰქონდათ, რომ წელს უფრო ხელსაყრელ პირობებში მოუხდებოდათ ფიზკულტურული მუშაობის გაწევა. მაგრამ, სამწუხაროდ, მოლოდინი არ გაუმართლდათ.

ქალაქის 7 ნებაყოფლობითი სასპორტო საზოგადოებიდან ერთადერთი, რომელიც ასე თუ ისე მომზადებული შეხვდა სასპორტო სეზონს, „შრომითი რეზერვების" ფიზკულტურული კოლექტივია. მასში გაერთიანებული არიან სახელოსნო სასწავლებლის, № 13 და № 36 საფაბრიკო-საქარხნო სკოლების მოსწავლეები. სეზონის წინ მოსწავლეებმა საკუთარი ძალებით წესრიგზე მოიყვანეს სასპორტო მოედანი და საცურაო აუზი. მუშაობენ ფეხბურთის, ფრენბურთის, მძლეოსნობის, ტანვარჯიშის, მოკრივეთა და სხვა სახის სასპორტო სექციები.

მაგრამ ახალი სეზონისათვის ცუდად მოემზადა სასპორტო საზოგადოება „მშენებელი" (თავმჯდომარე ა. რაგოზინი), რომელიც ქალაქში ყველაზე მსხვილი ფიზკულტურული კოლექტივია. „მშენებელს" არა აქვს საკუთარი სამუშაო ოთახი, სტადიონი და სასპორტო დარბაზი. გეგმის მიხედვით „მშენებელში" სამშენებლო სამმართველოებისა და საწარმოთა 18 ძირეული ფიზკულტურული კოლექტივია. სინამდვილეში ამათგან მხოლოდ 8 ფიზკულტურული კოლექტივი მუშაობს. დანარჩენ ობიექტებზე, როგორიც არის ბინათმშენებლობის, „ტრანსვოდოსტროის", „ელექტრომონტაჟის" ხის დამუშავებელი კომბინატის, ავტოსატრანსპორტო კანტორის, „კავსანტეხმონტაჟის" და სხვა სამშენებლო სამმართველოები, ძირეული ფიზკულტურული კოლექტივები ან სულ არ არსებობენ ან ისინი სრულ უმოქმედობას იჩენენ. აღნიშნულ სამშენებლო სამმართველოებში მოწყობილი არ არის სასპორტო მოედნები, არა აქვთ სასპორტო ინვენტარი.

მსგავსი მდგომარეობაა სასპორტო საზოგადოება „მეტალურგში" (თავმჯდომარე გ. აკიმენკო). მიუხედავად საქალაქო საბჭოს აღმასკომისა და პარტიის რუსთაველის საქალაქო კომიტეტის მრავალი დადგენილებისა, კვლავ დაუშვებლად ჭიანურდება მეტალურგთა სტადიონის მშენებლობა, რაც დავალებული აქვს ამიერკავკასიის მეტალურგშენის ტრესტის სამოქალაქო-საბინაო მშენებლობის (უფროსი შ. ნათენაძე) სამშენებლო სამმართველოს კოლექტივს. სტადიონზე 1 მაისისათვის უნდა დამთავრებულიყო ფრენბურთის, კალათბურთისა და ჩოგბურთის მოედნების მოწყობა. ეს საქმეშუმაოებიც მხოლოდ ნაწილობრივ არის შესრულებული, სტადიონისათვის განკუთვნილი შენობის 4 ოთახიდან ორი ოთახი საცხოვრებლად არის გამოყენებული, რაც ფეხბურთელებს დიდ დაბრკოლებას უქმნის. სასპორტო საზოგადოების სამუშაო ოთახი და სასპორტო დარბაზი არც მეტალურგებს აქვთ. მთელ რიგ საამქროებთან, აგრეთვე მეტალურგთა საერთო საცხოვრებლებთან, სადაც ასობით მეტალურგი ცხოვრობს, ელემენტარული სასპორტო ნაგებობაც კი არ არის მოწყობილი. ორთქლმალოვან, საკონტროლო-საზომ ხელსაწყოთა ლაბორატორიის, ხის დამამუშავებელ და ქარხნის სხვა საამქროებში ძირეული ფიზკულტურული კოლექტივები სულ არ არის შექმნილი. მეტალურგიულ ქარხანასთან არსებული ფრენბურთის, ფეხბურთის, ტანვარჯიშის და სხვა სასპორტო სექციები მხოლოდ პერიოდულად მეცადინეობენ.

სასპორტო სეზონისათვის უკეთესად არც რუსთაველის სკოლები მომზადებულან.

უნდა აღინიშნოს, რომ ქალაქში საერთოდ სუსტად მუშაობენ ფიზკულტურულ აქტივთან. ფიზკულტურულ კოლექტივებში ქალები შედარებით მცირე რაოდენობით არიან ჩაბმულნი. აქ პრაქტიკაში არ არის შემოღებული ფიზკულტურულ საკითხებზე ლექციებისა და მოხსენებების წაკითხვა, ფიზკულტურული კოლექტივების ხელმძღვანელთათვის თათბირების, სემინარების მოწყობა.

აღნიშნული მდგომარეობა იმითაც არის გამოწვეული, რომ კომკავშირის რუსთაველის საქალაქო კომიტეტი და საქალაქო საბჭოს აღმასკომის ფიზკულტურისა და სპორტის საქმეთა კომიტეტი (თავმჯდომარე კ. ქორქია) ნაკლებად ზრუნავენ ცალკეული საწარმოებისა და სამშენებლო სამმართველოთა ძირეული ფიზკულტურული კოლექტივებისადმი კონკრეტული ხელმძღვანელობისა და საქმიანი დახმარებისათვის. ფიზკულტურულ კოლექტივებს ადგილებზე სუსტ დახმარებას უწევენ პარტიული, კომკავშირული და პროფკავშირული ორგანიზაციები. არის შემთხვევები, როცა ქარხნის საამქროების, ტრესტის სამშენებლო სამმართველოთა ხელმძღვანელები საჭიროების შემთხვევაში ფიზკულტურელებს არ უქმნიან მუშაობის სათანადო პირობებს.

წელს ქალაქში ძლიერ ნელი ტემპით მიმდინარეობს ავრეთვე ნიშნსნების, თანრიგონნებისა და ფიზკულტურელთა საზოგადოებრივი კადრების მომზადება.

ქალაქის პარტიულმა, პროფკავშირულმა და კომკავშირულმა ორგანიზაციებმა გადამჭრელი ზომები უნდა მიიღონ ფიზკულტურული მუშაობის გასაუმჯობესებლად.

გ. გელაშვილი
„კომუნისტის" საკუთარი კორესპონდენტი

[illegible]

განხილვისას მონაშერიოს მიესაჯა შრომა-გასწორების ბანაკში მოთავსება 10 წლის ვადით.

როგორც ჩანს, ზოგიერთი სახალხო სასამართლო შეუწყნარებელ ლმობიერებას იჩენს სახალხო დოვლათის მტაცებლების მიმართ. საზოგადოებრივი საკუთრების მტაცებლობას ამხანაგი სტალინი ათანაბრებს კონტრრევოლუციურ დანაშაულთან. „საზოგადოებრივი საკუთრების, — სულ ერთია, იქნება ეს სახელმწიფოებრივი საკუთრება თუ კოოპერაციული ან საკოლმეურნეო საკუთრება, — ქურდობისა და მტაცებლობის დაშვება და ასეთ კონტრრევოლუციურ უმსგავსოებათა უყურადღებოდ დატოვება — ნიშნავს ხელი შეუწყო საბჭოთა წყობილების ძირის გამოთხრას, იმ წყობილებისა, რომელიც ემყარება საზოგადოებრივ საკუთრებას, როგორც თავის ბაზას". სსრ კავშირის კონსტიტუციაში კი ნათქვამია: „ის პირნი, რომელნიც ხელყოფენ საზოგადოებრივ, სოციალისტურ საკუთრებას, ხალხის მტრები არიან".

სასამართლო ორგანოების ამოცანაა აღკვეთონ ლმობიერი განაჩენების შემთხვევები და კანონის მთელი სიმკაცრით დასაჯონ სახალხო დოვლათის მტაცებლები.

სოციალისტური საკუთრების მტაცებლებთან ეფექტურ ბრძოლას სერიოზულად აფერხებს საქმეთა განხილვის გაჭიანურება, რასაც ვხვდებით ზოგიერთ სასამართლოში. გარეუბნის რაიონის მე-2 უბნის სახალხო სასამართლომ (მოსამართლე ამხ. ჩიქოვანი) ამა წლის 2 აპრილს მოსამზადებელ სხდომაზე სამართალში მისცა საკოლმეურნეო ქონების მტაცებლები ბაგაშვილი, ბაგათაშვილი და სხვები, მაგრამ საქმე განსახილველად დღემდე არ არის დანიშნული. ხაშურის რაიონის მე-2 უბნის სახალხო სასამართლომ (მოსამართლე ამხ. კაპანაძე) ნაცვლად დაწესებული 15 დღისა 3 თვეს გააჭიანურა კოოპერაციული ქონების მიმთვისებლის პაპუაშვილის საქმის განხილვა. თვენახევარზე მეტი ხნის განმავლობაში გააჭიანურა მახარაძის რაიონის 1-ლი უბნის სახალხო სასამართლომ (მოსამართლე ამხ. გოგუაძე) კოოპერაციული ქონების ქურდის ასატურიანის საქმის განხილვა.

საქმის განხილვის გაჭიანურება უარყოფით გავლენას ახდენს არა მარტო საქმის სწორად გადაწყვეტაზე, არამედ ქმნის დანაშაულის დაუსჯელობის შთაბეჭდილებას, ამასთან დაგვიანებით გამოტანილი განაჩენის აღმზრდელობითი ზემოქმედება მნიშვნელოვნად სუსტდება.

სასამართლო ორგანოების ამოცანაა აღმოფხვრან საქმეთა განხილვის გაჭიანურების ფაქტები და ამით კიდევ უფრო ეფექტური გახადონ დანაშაულობასთან ბრძოლა. სასამართლოები აქტიურად უნდა ეხმაურებოდნენ აგრეთვე მტაცებლობის საქმის გამოძიების გაჭიანურების ფაქტებს, რადგან დანაშაულის დროზე და სრულად გამოძიება ბევრად განსაზღვრავს დანაშაულობასთან სასამართლოს ბრძოლის ეფექტურობას.

თავის სიტყვაში საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის ამა წლის 26 მაისის პლენუმზე საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის მდივანმა ამხ. ა. მგელაძემ გააკრიტიკა სასამართლოს და პროკურატურის ორგანოების სუსტი მუშაობა საკოლმეურნეო ქონების დაცვის დარგში.

იუსტიციის და სასამართლო ორგანოების მუშაკთა ვალია საჭირო დასკვნები გააკეთონ აღნიშნული კრიტიკიდან და მიაღწიონ თავიანთი მუშაობის მკვეთრ გარდატეხას სოციალისტური საკუთრების მტაცებლობის წინააღმდეგ ბრძოლის დარგში. სასამართლო ორგანოებმა უნდა უზრუნველყონ სახელმწიფო და საზოგადო ქონების ქურდებისა და მტაცებლების საქმეთა დაწესებულ ვადაში განხილვა და დამნაშავეთა ისე დასჯა, რომ იოლი შოვნის მოტრფიალეთ სამუდამოდ დაუკარგოს მადა ხელი მოითბონ სახალხო დოვლათის ხარჯზე, თავიანთი ბინძური ხელები აფათურონ სახელმწიფოს ჯიბეში და ძარცვონ საზოგადოებრივი ქონება.

სოციალისტური საკუთრების მტაცებლობასთან წარმატებითი ბრძოლისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს იმას, რომ საწარმოს, დაწესებულების, კოლმეურნეობის ხელმძღვანელებმა დროზე გადასცენ მასალები გაფლანგვა-მტაცებლობის შესახებ საგამომძიებლო ორგანოებს. ფაქტები კი მოწმობენ, რომ გაფლანგვა-მტაცებლობის საქმეების გადაცემა საგამომძიებლო ორგანოებისათვის თვეებით ჭიანურდება.

1949 წლის მარტში ახმეტის სასოფლო კოოპერატივის საწყობის გამგეს ჩეკურიშვილს აღმოაჩნდა 10.379 მანეთი დანაკლისი. მასალები პროკურატურას არ გადასცემია და მას საშუალება მიეცა დანაკლისი დაეფარა. 1951 წლის ივლისამდე ჩეკურიშვილმა მოასწრო 142.881 მანეთის მითვისება, რისთვისაც მას თელავის 1-ლი უბნის სახალხო სასამართლომ (მოსამართლე ამხ. გურგენიძე) მიუსაჯა 18 წლის პატიმრობა ქონების კონფისკაციით და სასჯელის მოხდის შემდეგ 5 წლით საარჩევნო ხმის უფლების ჩამორთმევა. მასვე დაეკისრა ახმეტის კოოპერატივის სასარგებლოდ 142.881 მანეთის გადახდა. 9 თვე გააჭიანურა თიანეთის რაიონის სოფელ სიმონიანთხევის კოლმეურნეობის გამგეობამ მამადაშვილის მიერ საკოლმეურნეო მიწის მითვისების შესახებ პროკურატურისათვის მასალების გადაცემა.

სასამართლო ორგანოებმა უნდა ამხილონ და პასუხისგებაში მისცენ საწარმო-დაწესებულებისა და. კოლმეურნეობის ის ხელმძღვანელი, რომელიც აჭიანურებს დანაშაულის შესახებ მასალების გადაცემას საგამომძიებლო ორგანოებისათვის და ამით მფარველობს დამნაშავეს, ასუსტებს დანაშაულის სიმძიმეს და ართულებს, ხოლო ზოგჯერ შეუძლებელს ხდის ჭეშმარიტების დადგენას. უნდა შეიქმნას ისეთი პირობები, როცა მაქსიმალურად შემცირდება დრო დანაშაულის ჩადენიდან განაჩენის გამოტანამდე.

სერიოზული ნაკლოვანებები აქვთ სახალხო სასამართლოებს სახელმწიფოსათვის სოციალისტური საკუთრების მტაცებლობით მიყენებული ზარალის ანაზღაურების დარგში. გაფლანგვა-მტაცებლობით გამოწვეული დანაკლისის მხოლოდ უმნიშვნელო ნაწილი უბრუნდება სახელმწიფოს, კოოპერაციას და კოლმეურნეობებს.

სასამართლო ორგანოების გადაუდებელი ამოცანაა უმოკლეს დროში გამოასწოროონ სოციალისტური საკუთრების მტაცებლობასთან ბრძოლის საქმეში თავიანთი მუშაობის ნაკლოვანებანი და უზრუნველყონ „სახელმწიფო და საზოგადო ქონების მტაცებლობისათვის სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის შესახებ" სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1947 წლის 4 ივნისის ბრძანებულების ურყევად გატარება.

4 ივნისის კანონი მკაცრად სჯის სოციალისტური საკუთრების მტაცებლებს და მიმართულია იქითკენ, რომ შემცირდეს ამ სახის დანაშაული. ეს ამოცანა მოითხოვს, რათა სახალხო სასამართლოებთან და პროკურატურის ორგანოებთან ერთად, რომლებიც შეიარაღებულნი არიან 1947 წლის 4 ივნისის ბრძანებულებით, სოციალისტური საკუთრების დატაცების წინააღმდეგ ბრძოლაში აქტიურად ჩაებას მთელი ჩვენი საბჭოთა საზოგადოებრიობა. საჭიროა შეიქმნას ისეთი მორალური ატმოსფერო, „...რომელიც მოსპობდა ქურდობის შესაძლებლობას, შეუძლებელს გახდიდა სახალხო დოვლათის დამტაცებლებისა და ქურდების ...ცხოვრებასა და არსებობას", (ი. სტალინი).

სასამართლო ორგანოების და თვითეული საბჭოთა მოქალაქის წმიდათაწმიდა მოვალეობაა ყველა ღონისძიებითა და საშუალებით, როგორსაც კი გვაძლევენ საბჭოთა კანონები, შეუნელებელი ბრძოლა აწარმოონ სოციალისტური საკუთრების დასაცავად, ჩვენი დიადი სამშობლოს ეკონომიური ძლიერების შემდგომი განმტკიცებისათვის.

ვ. მამალაძე
საქართველოს სსრ იუსტიციის მინისტრი

ჟაკ დიუკლო ამხილებს პოლიციის პროვოკაციას

დიუკლოს პროტესტი საკონფლიქტო სასამართლოს თავმჯდომარისადმი

პარიზი, 31 მაისი. (საკდესი). როგორც ფრანს პრესის სააგენტო იუწყება, ჟაკ დიუკლოს დამცველებმა — ადვოკატებმა ვილარმა და ნორმანმა საკონფლიქტო სასამართლოს პირველ თავმჯდომარეს რუსელს გადასცეს დიუკლოს შემდეგი სარჩელი:

„მე დამპატიმრეს 28 მაისს 21.20 გრინვიჩის დროით და მხოლოდ გუშინ დაახლოებით 18 საათზე გრინვიჩის დროით წამომიყენეს სახელმწიფოს შინაგანი უშიშროების ვითომდა ხელყოფის ბრალდება. დამპატიმრეს და ბრალდება წამომიყენეს მიუხედავად იმისა, რომ ვსარგებლობ საპარლამენტო ხელშეუხებლობის უფლებით, რაც გათვალისწინებულია კონსტიტუციის 22-ე მუხლით.

საბაბი, რომელსაც ეყრდნობიან, ის არის, რომ თითქოს აღმომჩნდა შეთქმულებაში მონაწილეობის მამხილებელი საბუთები.

ეს საბაბი კრიტიკას ვერ უძლებს. დარღვევა, რომელსაც ბრალად მდებენ, არის დარღვევა, რომლის პოლიტიკური ხასიათი სადავო არ არის და არასოდეს არ ყოფილა. ამავე დროს მუდამ აღიარებული იყო, რომ დანაშაულის ადგილზე შეპყრობა არ არსებობს პოლიტიკურ დარგში. მე დავძენ, რომ არ ყოფილა გამოვლინებული არც ერთი ფაქტი, რომელიც ადასტურებდეს შეპყრობას ვითომდა დანაშაულის ადგილზე, რომელსაც ბრალად მდებენ: როცა ცოლთან ერთად შინ ვბრუნდებოდი ჩემი ჩვეულებრივი მარშრუტით, დამაკავეს პოლიციელებმა, რომლებმაც მე-10 ოლქის პოლიციის კომისარიატში გამომიცხადეს, რომ მიიღეს ბრძანება დაკავონ ჩემი ავტომობილი და დამპატიმრონ. ამრიგად, წინასწარი განზრახვა აშკარაა.

მთავრობა იძულებული გახდა შეეთხზა სასაცილო სიცრუე იმისათვის, რომ როგორმე გაემართლებინა თავისი ანტიკონსტიტუციური საქციელი: საქმე ეხებოდა ვითომდა რადიოგადამცემ აპარატს, მაშინ როცა ჩემს ავტომანქანაზე მოწყობილი იყო ჩვეულებრივი ტიპის რადიომიმღები; ბევრს ლაპარაკობდნენ შეიარაღებულ ავტომობილზე ამ საბაბით, რომ ავტომობილში იპოვნეს — ისიც, ჩემი დაპატიმრების შემდეგ, — რევოლვერი, რომელიც ეკუთვნოდა იმ ადამიანს, რომელიც ჩვეულებრივად თან მახლდა ხოლმე; უაზრობა იქამდე მივიდა, რომ აღნიშნავდნენ შესაძლო კავშირს საფოსტო მტრედების საშუალებით, იმიტომ, რომ ჩემს ავტომობილში იყო ორი მტრედი, რომლებიც დღისით მითავაზეს და სამზარეულოსთვის იყო განკუთვნილი.

შინაგან საქმეთა მინისტრმა აღნიშნა, რომ მე ავტომობილით დავდიოდი იმ ადგილებში, სადაც დემონსტრაციები მიმდინარეობდა. მაგრამ ეს უზეში სიცრუეა. ავტომობილი იდგა პარტიის ცენტრალური კომიტეტის შენობის წინ, რომელიც გარშემორტყმული იყო პოლიციელებით. შემდეგ იგი ერთი საათის განმავლობაში იყო გაზეთ „ლუმანიტეს“ შენობის წინ. ის ფაქტი, რომ დემონსტრაცია დამთავრდა ჩემი დაპატიმრების მომენტში, თავისთავად საკმარისია იმისათვის, რომ გამორკვეულ იქნას, თუ რამდენად უსუსურია საბაბები, რასაც ეყრდნობა მთავრობა, რომელიც იძულებულია ამით ცხადყოს რამდენად არ უწევს იგი ანგარიშს საზოგადოებრივ აზრს და რამდენად იცავს კონსტიტუციურ უფლებას.

ამრიგად, ცხადი ხდება კულმოდგინედ შეთითხნილი ბრალდების უკანონობა და უაზრობა და არ დადასტურებული არც ერთი ფაქტი, რომელიც აუცილებელია იმისათვის, რომ დადგენილ იქნას შეთქმულების არსებობა, როგორც კანონის თვალსაზრისით, ისე საღი აზრის მიხედვით. მაგრამ არა მარტო პოლიციის კომისარმა, არამედ პირველი ინსტანციის სასამართლოს პროკურორმა და გამომძიებელმაც ჩაიდინეს ამ პირობებში თანამდებობრივი დანაშაული, რომელიც გათვალისწინებულია სისხლის სამართლის კოდექსის 121-ე მუხლით. ამიტომ ამ მუხლისა და სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 484-ე მუხლის ძალით მე საჩივარი შემომაქვს რესპუბლიკის პირველი ინსტანციის სასამართლოს პროკურორზე, გამომძიებელ ჟაკინოზე, მე-10 ოლქის პოლიციის კომისარსა და ყველა სხვაზე. მე გამოვდივარ როგორც მოსარჩელე“.

ბონის სამხედრო შეთანხმების წინააღმდეგ

ბელგიის კომპარტიის პოლიტბიუროს მოწოდება

ბრიუსელი, 3 ივნისი. (საკდესი). გაზეთმა „დრაპო რუგმა“ გამოაქვეყნა ბელგიის კომპარტიის პოლიტბიუროს მოწოდება.

„26 მაისს ამერიკის, ინგლისისა და საფრანგეთის მთავრობებმა, — ნათქვამია მოწოდებაში, — გერმანიის მთავრობასთან ხელი მოაწერეს ეგრეთწოდებულ „სახელშეკრულებო შეთანხმებებს“.

ეს შეთანხმებანი ბოლოს უღებენ იმ სამართლიან ღონისძიებებს, რომლებიც გათვალისწინებული იყო გერმანიის მილიტარიზმის აღორძინების თავიდან ასაცილებლად ბერლინის დაცემისა და ჰიტლერიზმის მოსპობის შემდეგ.

ეს შეთანხმებანი, რომლებიც არ შეეფერებიან გერმანელი ხალხის გაერთიანებისა და მშვიდობის იმედებს, დასავლეთ გერმანიას აქცევენ სბპ-ოთა კავშირისა და სახალხო დემოკრატიის ქვეყნებზე თავდასხმის პლაცდარმად. ეს შეთანხმებანი დასავლეთ გერმანიის მოსახლეობას აყენებენ ორმაგ დამოკიდებულებაში — ამერიკის იმპერიალიზმსა და ჰიტლერელ რევანშისტებზე დამოკიდებულებაში. ისინი გერმანიის გათიშვის გაღრმავებით აბრკოლებენ გერმანიის პრობლემის მშვიდობიან გადაჭრას... ეს შეთანხმებანი ნამდვილად განამტკიცებენ სამხედრო კავშირს დასავლეთ გერმანიასთან, რომელსაც მართავს რეაქციული მთავრობა. ამ მთავრობამ მთავარ პოსტებზე კვლავ დააყენა მრავალი ნაცისტი მეთაური და აშკარად განაცხადა, რომ აპირებს იბრძოლოს 1940 წლის საზღვრების აღდგენისათვის.

ამერიკის მთავრობის დახმარებით დასავლეთ გერმანიას, რომელიც ინარჩუნებს მილიტარისტულ და რევანშისტულ ხასიათს, ენიჭება ატლანტიკის კოალიციის უმნიშვნელოვანესი ელემენტის მნიშვნელობა და მუდმივ საფრთხეს წარმოადგენს თავისი მეზობლებისათვის.

ნაცვლად იმისა, რომ წინააღმდეგობა გაეწია რევანშისტული დასავლეთ გერმანიის აღდგენისათვის, ბელგიის მთავრობა, თავისი ქვეყნის აშკარა ინტერესების საწინააღმდეგოდ, დაეთანხმა ასეთ პოლიტიკას. მან მლიქვნელურად მოიხარა ქედი ამერიკის მთავრობის მიერ მიღებულ ღონისძიებათა წინაშე და ხელი მოაწერა ჩვენს საზღვრებთან გერმანული საფრთხის აღორძინებას.

უფრო მეტიც, ხელი მოაწერა რა 27 მაისს პარიზში ხელშეკრულებას ეგრეთწოდებული „ევროპის თავდაცვითი გაერთიანების“ შესახებ, იგი დაეთანხმა გერმანიის არმიის აღდგენას ნაცისტი გენერლების ხელმძღვანელობით.

გარდა ამისა, ეს შეთანხმებანი, ჩვენს არმიას ორმეგეულ ეროვნული დამოკიდებულების ნასახს. ისინი ჩვენს არმიას ტოვებენ იმ ამერიკელი გენერლის თვითნებობის მსხვერპლად, რომელიც კორეაში სახელი გაითქვა ბაქტერიოლოგიური იარაღის ხმარებით და სამოქალაქო მოსახლეობისა და უიარაღო ტყვეების მასობრივი მოსპობით. ისინი ჩვენს ქვეყანას აიძულებენ გადიდოს სამხედრო ხარჯები. ისინი ბელგიას აქცევენ განაბორიელოს ანტიეროვნული პოლიტიკა, რომელიც იმის საფრთხეს ქმნის, რომ გაგვხადოს ახალი მსოფლიო ომის გაჩაღების მონაწილეებად.

ვან გუტის მთავრობამ ისე მოაწერა ხელი ამ შეთანხმებებს, რომ არ უკითხავს პარლამენტის აზრი და ანგარიში არ გაუწევია ეროვნული დამოუკიდებლობისა და მშვიდობისადმი ჩვენი ხალხის მისწრაფებისათვის. მაგრამ ამ შეთანხმებებს ჯერ კიდევ პარლამენტის რატიფიკაცია ესაჭიროება.

ბელგიის კომპარტიის პოლიტბიუროო ხაზგასმით აღნიშნავს, რომ საჭიროა უფრო აშკარად განვუცხადოთ მთავრობას იმის ამ ხელშეკრულებისადმი ჩვენი ხალხის განუზრელი წინააღმდეგობა. პოლიტბიუროო მოუწოდებს პარტიის ყველა ორგანიზაციას, ყველა სხვა დემოკრატიულ ორგანიზაციას, ყველას, ვისაც სურს ჩვენი ქვეყანა იხსნას ახალი ომის საშინელებისა და მისი გაჩაღებისათვის ხელშეწყობის სირცხვილისაგან, ყოველივე მოიმქმედონ, რათა ხელი შეუშალონ ამ შეთანხმებათა რატიფიკაციას.

პოლიტბიუროო მშვიდობის ყველა მეგობარს მოუწოდებს გააერთიანონ თავიანთი ღონისძიებანი და უფრო ხშირად მიმართონ დეპუტატებს წინადადებებითა და მოთხოვნებით, რათა პარლამენტმა უარყოს ეს ხელშეკრულება, რომელიც საფრთხეს უქმნის მშვიდობას მთელ მსოფლიოში და ჩვენი ქვეყნის არსებობას“.

კორეის ამბები

ფხენიანი, 2 ივნისი. (საკდესი). კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის სახალხო არმიის მთავარსარდლობამ დღეს გამოაცხადა, რომ გუშინ სახალხო არმიის შენაერთები ჩინელ სახალხო მოხალისეებთან თანამოქმედებით გაწარმობდნენ თავდაცვითს ბრძოლებს ამერიკელ-ინგლისელი ინტერვენტებისა და ლისინმანელთა ჯარების წინააღმდეგ და ზარალს აყენებდნენ მათ ცოცხალი ძალისა და ტექნიკის მხრივ.

დღეს სახალხო არმიის საზენიტო ნაწილებმა და მტრის თვითმფრინავების გამანადგურებელ მსროლელთა რაზმებმა აამოაგდეს მოწინააღმდეგის 3 თვითმფრინავი, რომლებიც მონაწილეობას იღებდნენ კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის ზურგის რაიონებზე თავდასხმებში.

რაგომ ჭიანურდება მოლაპარაკება კორეაში

პეკინი, 2 ივნისი. (საკდესი). სინხუას საგენტოს კორესპონდენტის მიერ კესონიდან გადმოცემულ ცნობაში ნათქვამია:

ამერიკული პრესის ცნობებში შეიძლება იპოვნოთ იმ კითხვის პასუხი, რომელიც ყველას აინტერესებს, თუ რატომ მოითხოვენ ასე დაჟინებით ამერიკის შეერთებული შტატები „ნებაყოფლობითს რეპატრიაციას“ და ამით აბრკოლებენ კორეაში დაზავებას. ეფექტი პასუხი ამ კითხვაზე უკვე გასცა ნიუ-იორკის გაზეთმა „დეილი კომპასმა“, რომელიც სრულიად აშკარად აღნიშნავს, რომ ამერიკის შეერთებულ შტატებს არა სურთ შეთანხმება დაზავების შესახებ. სპეციალურ სტატიაში, რომელიც მოთავსებულია 16 მაისის ნომერში, გაზეთი ააშკარავებს ამერიკის შეერთებული შტატების ნამდვილ განზრახვებს და წერს: „ამერიკელი გენერლებისა და სხვა ოფიციალური წარმომადგენლებისათვის, რომლებიც მოლაპარაკებას ეწევიან კორეაში დაზავების შესახებ, ჯერ არ დადგარა კორეაში საზავო ხელშეკრულების დადების დრო“.

შეორე პასუხს იძლევა გაზეთ „უოლ-სტრიტ ჯორნელის“ კორესპონდენტი. ვაშინგტონიდან 10 მაისს გადმოცემულ ცნობაში კორესპონდენტი წერს, რომ, როგორც მან შეიტყო, „დედაქალაქში გულდასმით შემოწმების შემდეგ, ამერიკის ახლანდელი გეგმა ის არის, რომ ვისხდეთ ექ, სადაც ვსხედვართ, ე. ი. ეიცვდეთ წინანდელ ხაზს და ჩრდილოეთ კორეის წინააღმდეგ ვიხროკიელებდეთ ძლიერ ოცრიშებს ჰაერიდან“. სამხედრო საკითხების ამერიკელმა რეაქციონერმა კომენტატორმა ბოლდუინმა სტატიაში, რომელიც მოთავსებულია გაზეთ „ნიუ-იორკ ტაიმსის“ 26 მაისის ნომერში, აღიარა, რომ ამერიკის შეერთებული შტატები განზრახ ცდილობენ გაჭიანურონ მოლაპარაკება.

ჟურნალი „იუნაიტედ სტეიტს ნიუს ენდ უორლდ რიპორტი“ უფრო აშკარად აღნიშნავს, რომ ვაშინგტონი არ აპირებს მოლაპარაკების წარმოებას. უოლ-სტრიტის ეს ჟურნალი 30 მაისის ნომერში წერდა, რომ ამერიკელთა ახალმა მთავარმა დელეგატმა დაზავების შესახებ მოლაპარაკებაში ჰარისონმა მიიღო ინსტრუქცია ყური უგდოს, მაგრამ მოლაპარაკება არ აწარმოოს. ამ სამარცხვინო ტაქტიკასთან ერთად, რომელსაც ამერიკელები მოლაპარაკებაში იცავენ, გაზეთმა „ნიუ-იორკ პოსტმა“ ამერიკელ ხალხში დაიწყო კამპანია „მოთმინების“ გაძლიერებისა, მიუხედავად იმისა, რომ ხალხი დღითიდღე სულ უფრო მეტ შეშფოთებას გამოთქვამს კორეაში არსებული მდგომარეობის გამო.

ყოველკვირეული ჟურნალი „ეკონომისტი“ „ამერიკის“ მარტის ნომერში აშკარად აღიარებდნენ: „კორეა გახდა ჩვენი შეიარაღების დაჩქარებისა და ნატოს (აგრესიული ჩრდილოეთ ატლანტიკის პაქტი.—რედ.) საქმიანობის გამოცოცხლების სტიმული“.

უეჭველია, რომ დაზავების შესახებ მოლაპარაკების ობსტრუქციისა და გაჭიანურების ამერიკის ტაქტიკა ის არის, რომ შეინარჩუნოს დაძაბულობა კორეაში და ამით გაიაფდეოლოს კონგრესში უზარმაზარი სამხედრო ბიუჯეტის გაყვანა, გააძლიერის სამხედრო მობილიზაცია და თავისი სატელიტები აიძულოს აწარმოონ საომარი მზადება.

ეს არის იმის მთავარი მიზეზი, თუ რატომ ასე დაჟინებით იცავენ ამერიკის შეერთებული შტატები სამხედრო ტყვეთა საკითხს ახლანდელ მოლაპარაკებაში თავიანთ აბსურდულ დებულებას „ნებაყოფლობითი რეპატრიაციის“ შესახებ. ეს არის აგრეთვე იმის ერთადერთი მიზეზი, თუ რატომ დღემდე არ არის მიღწეული შეთანხმება დაზავების შესახებ 11 თვის მანძილზე წარმოებულ მოლაპარაკებაში.

საზავო ხელშეკრულებისათვის, აგრესორთა შეთქმულების წინააღმდეგ

ვილჰელმ პიკის გამოსვლა ლაიპციგში

ბერლინი, 1 ივნისი. (საკდესი). ლაიპციგში მარქს-ენგელსის მოედანზე დღეს გაიმართა მასობრივი მიტინგი ლოზუნგით „საზავო ხელშეკრულებისათვის, საშშოლის დაცვისათვის“. მიტინგს დაესწრნენ თავისუფალი გერმანელი ახალგაზრდობის კავშირის მე-4 ყრილობის მონაწილენი, გერმანელი ახალგაზრდობა, რომელიც ლაიპციგში ჩამოვიდა სასპორტო შეჯიბრებებსა და მხატვრული თვითმოქმედების დათვალიერებაზე, აგრეთვე ლაიპციგის ბევრი მცხოვრები.

თავისუფალი გერმანელი ახალგაზრდობის კავშირის თავმჯდომარე ერიხ ჰონეკერი, რომელმაც მიტინგი გახსნა, დამსწრეთა ტაშის გრიალში მიესალმა მიტინგზე მოსულ გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის პრეზიდენტს ვილჰელმ პიკს, პრემიერ-მინისტრს ოტო გროტეოლს, გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრებს გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ვალტერ ულბრიხტის მეთაურობით, პოლიტიკურ მრჩეველს გერმანიაში საბჭოთა საკონტროლო კომისიის თავმჯდომარესთან ელჩს ვ. ს. სემიონოვს, აგრეთვე მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის მშვიდობისმოყვარე ახალგაზრდების წარმომადგენლებს, მათ შორის საკავშირო ალკჯ დელეგაციას საკავშირო ალკჯ ცენტრალური კომიტეტის მდივნის ა. შელეპინის მეთაურობით.

მიტინგზე სიტყვა წარმოთქვა გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის პრეზიდენტმა ვილჰელმ პიკმა, რომელსაც დამსწრენი მჭეხარე ოვაციით შეხვდნენ. პიკმა აღნიშნა, რომ გერმანელ ხალხსა და მის ახალგაზრდობას ახლა აქვთ ორი გზა. ერთი გზა, რომლის გამოხატულებაა სეპარატული სამხედრო ხელშეკრულების ხელმოწერა ბონში, აღრმავებს გერმანიის გათიშვას და ახალი ომის მზადებაში აბამს გერმანელ ხალხს. ამ გზას გარდუვალად მოჰყვება ომი, ნგრევა და, შესაძლებელია, გერმანელი ხალხის ეროვნული დაღუპვაც.

მეორე გზა აღნიშნულია საბჭოთა მთავრობის ნოტაში. ამ გზას მიეყავართ გერმანიის ეროვნული ერთიანობის აღდგენისა და გერმანიასთან საზავო ხელშეკრულების რაც შეიძლება მალე დადებისაკენ. იგი გერმანელ ხალხს აძლევს თავისი ეკონომიკის, თავისი კულტურისა და სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის თავისუფალი განვითარების შესაძლებლობას.

„ამრიგად, — ხაზგასმით, აღნიშნა ვილჰელმ პიკმა, — სეპარატული სამხედრო „საერთო ხელშეკრულების“ წინააღმდეგ და ერთიან გერმანიასთან სამართლიანი საზავო ხელშეკრულებისათვის გადამწყვეტი ბრძოლა გერმანელი ახალგაზრდობის ბედნიერი და მშვიდობიანი მომავლისათვის ბრძოლაა“.

პიკმა გერმანელ ახალგაზრდობას მოუწოდა შინ დაბრუნების შემდეგ ამხილოს სამხედრო სეპარატული ხელშეკრულების ნამდვილი აზრი და შინაარსი, რათა მთელმა გერმანელმა ხალხმა შეიგნოს გამთიშველთა და ომის გამჩაღებელთა შეთქმულების საფრთხე და განრისხებულმა თავისი გზიდან აღგაოს ადენაუერის მთავრობა.

„ბონის სეპარატულ ხელშეკრულებაში, — განაგრძო ვილჰელმ პიკმა, — დასავლეთის იმპერიალისტურ სახელმწიფოთა მთავრობები უფლებას იტოვებენ თვითონ გადაჭრან ყველა საკითხი, რომელიც მთელ გერმანიას შეეხება, თვით გაერთიანების საკითხიც. მაგრამ თავიანთი მანევრებით, რომელთა მიზანია დროის გაჭიანურება, და საბჭოთა მთავრობის კონკრეტულ სამშვიდობო წინადადებებზე მიკიბულ-მოკიბული პასუხით მათ უკვე დაამტკიცეს, რომ გერმანიის ერთიანობის წინააღმდეგნი არიან, რადგან სურთ შეინარჩუნონ თავიანთი ბატონობა დასავლეთ გერმანიაში...

გერმანიის გაერთიანების საკითხი პირველ რიგში თვით გერმანელმა ხალხმა უნდა გადაწყვიტოს“.

იმის გამო, რომ პარიზში ხელი მოაწერეს სამხედრო ხელშეკრულებას ეგრეთწოდებული „ევროპის არმიის“ შექმნის შესახებ, ვილჰელმ პიკმა განაცხადა: „ჩვენ არასოდეს არ დავუშვებთ, რომ გერმანელი ახალგაზრდობა ამერიკის დაქირავებულთა არმიის ლანდსკნეხტთა სახით ჩაბმულ იქნას ძმათამკვლელ ომში გერმანელების წინააღმდეგ“.

აღნიშნა რა, რომ ბონის სეპარატული შეთანხმებით დასავლეთ გერმანიის მოსახლეობამ ყოველწლიურად უნდა იხადოს 10 მილიარდ მარკაზე მეტი უცხოეთის ინტერვენციონისტული ჯარებისა და დაქირავებულ გერმანელთა ჯარების შესანახავად, ვილჰელმ პიკმა თქვა: „გერმანელი ხალხი იმის წინააღმდეგია, რომ ახლა გაჭირვება განიცადოს ახალი ომის მომზადებისათვის, რომელიც ხვალ მას სიკვდილსა და განადგურებას მოუტანს“.

ვილჰელმ პიკმა აღნიშნა, რომ გერმანელი ხალხი მძლავრი დემოსტრაციებით და მიტინგებით პროტესტს აცხადებს „საერთო ხელშეკრულების“ წინააღმდეგ და გამოხატავს მტკიცე გადაწყვეტილებას არ დაუშვას მისი განხორციელება“. ახლა ამოცანა ის არის, — განაგრძო პიკმა, — რომ მჭიდროდ დავრაზმოთ ყველა გერმანელი პატრიოტი, დამოუკიდებლად პოლიტიკური მსოფლმხედველობისა, და გავაჩაღოთ მძლავრი მოძრაობა სამხედრო „საერთო ხელშეკრულების“ წინააღმდეგ, აღენიშნერის გამცემლური მთავრობის დამხობისათვის“.

შეეხო რა საბჭოთა მთავრობის 24 მაისის ნოტას, პიკმა დიდი მადლობა გამოთქვა საბჭოთა კავშირისა და ამხანაგ ი. ბ. სტალინისადმი გერმანელი ხალხის ძირეული სასიცოცხლო ინტერესების დაცვისათვის.

მიტინგის მონაწილეებმა მჭეხარე, ხანგრძლივი ოვაცია გამართეს დიდი სტალინის პატივსაცემად, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის პრეზიდენტის ვილჰელმ პიკის პატივსაცემად.

რეკორდსმენი ველოსიპედისტი ითარ დადუნაშვილი
ფოტო ვლ. გინზბურგისა

ველოსიპედისტ ო. დადუნაშვილის საქართველოს რეკორდი

მოსკოვში ველოსპორტის სეზონის გახსნის აღსანიშნავად გაიმართა ველოსიპედისტთა შეჯიბრება, რომელშიც სხვა რესპუბლიკების ველოსპორტსმენებთან ერთად მონაწილეობდა საქართველოს სსრ უძლიერესი ველოსიპედისტი ო. დადუნაშვილი.

ფიზკულტურისა და სპორტის რესპუბლიკურ კომიტეტში გუშინ მიიღეს ცნობა, რომ ამ შეჯიბრებაში დიდ წარმატებას მიაღწია საქართველოს ველოსიპედისტების წარმომადგენელმა ო. დადუნაშვილმა. მან 500 მეტრი მანძილი დაფარა 35,5 წამში, რითაც დაამყარა ახალი საკავშირო რეკორდი.

სპორტის ამ სახეობაში საკავშირო რეკორდი 1950 წლიდან ეკუთვნოდა მოსკოველ ველოსიპედისტ ამბ. კრასნოკოვს.

მოხსენება

პარასკევს, 6 ივნისს, საღამოს 8 საათზე უცხოეთთან კულტურული ურთიერთობის საქართველოს საზოგადოების შენობაში (ვოლოდარსკის ქ. № 3) პოეტი **ირ. აბაშიძე** ვაკეთებს მოხსენებას თემაზე:

„სტალინის სახე მსოფლიოს პროგრესულ მწერალთა შემოქმედებაში“.

დღეს გაზეთ „ზარია ვოსტოკაში“

პირველი გვერდი მოწინავე — **სანიმუშოდ** მოვემზადოთ მოსავლის აღებისათვის.

საქართველოს სსრ მინისტრთა **საბჭოსა** და საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალურ **კომიტეტში** — 1952 წელს კოლმეურნეობებსა **და საბჭოთა** მეურნეობებში თივის აღებისა **და საკვების** დასილოსების შესახებ.

მეორე გვერდი — ს. ბელიავსკაია — კანონი სოციალისტური **საკუთრების** სადარაჯოზე.

მკითხველთა **წერილები.**

ი. ფრანგულიანი — **კვების** საწარმოთა **და** საკოლმეურნეო ბაზრების **საზოგადოებრივი** დათვალიერება.

მესამე გვერდი — **საერთო საათაურით „მრისხანე** პროტესტი **ამერიკელი** ავრესორების **მხეცობის** წინააღმდეგ **კორეაში“** წერილები: **აფლაგმოთ** მკვლელები. **არ** დამარცხდება **ხალხი,** რომელიც **თავისუფლებისათვის** **იბრძვის.** **მიტინგი** **უნივერსიტეტში.** **მრისხანებისა** **და** **აღშფოთების** **ხმა.**

ნ. **შალუტაშვილი,** ბ. **კაკაურიძე** — **ახალი** **დიდგმა** **გრიბოედოვის** **სახელობის** **თეატრში.**

უცხოეთის **ინფორმაციები.**

მეოთხე **გვერდი** — **უცხოეთის** **ინფორმაციები.** **ქალაქის** **ქრონიკა.**

რედაქტორი **ბ. მერკვილაძე.**

ღამეს თეატრებში

ოპერისა და ბალეტის — ქოშები (მე-11 ან.); **რუსთაველის სახელობის** — ყაჩაღები; **მარჯანიშვილის სახელობის** — ცეკვის მასწავლებელი; **გრიბოედოვის სახელობის** — ღრმა დაზვერვა; (38-ე, 39-ე ან.); **სომხური დრამის** — შემოქმედებითი საღამო სომხეთის სსრ სახალხო არტისტის სტალინური პრემიის ლაურეატის გურგენ ჯანიბეკიანის; **მოზარდ მაყურებელთა ქართული** — ძველი ჩრილობა (მე-12 ან. 3 ს.), (51-ე ან. 7 ს.); **მოზარდ მაყურებელთა რუსული** — ყაჩაღები (32-ე ან. 6 ს.); **მუსიკალური კომედიის** — მეგობრები; **თოჯინების ქართული** — ამპარტავანი კურდღელი (11½ და 1 ს.); **სანკულტურის** — მეგობრები.

ღამეს კინოებში

რუსთაველის სახელობის — უკანასკნელი ეტაპი (ფილმი), შოპენის სიმფონია (საღამოს); **„ოქტომბერი“, „თბილისი“, „სპარტაკი“** — გაზაფხულის ღამეები; **„ამირანი“** — გაზაფხულის ღამეები (საზამთრო), შოპენის სიმფონია (საზაფხულო); **26 კომისრის სახელობის** — გაზაფხულის ღამეები (საზამთრო), ტყვეობიდან გაქცევა (საზაფხულო); **„ინანი“, „კომკავშირელი“** — შოპენის სიმფონია; **ციოლის პარკი** — ახალგაზრდობის სპორტული ღონისძიება; **ორჯონიკიძის პარკი** — დაუვიწყარი 1919 წელი; **„კოლხიდა“** — არინა (საზაფხულო), მეზღვაურის ქალიშვილი (საზამთრო).

საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს ვეტერინარული ტექნიკუმი აცხადებს მოსწავლეთა მიღებას 1952-53 სასწავლო წელს. ტექნიკუმში მიიღებიან ორივე სქესის მოქალაქენი ქართულ სექტორზე, 14-დან 30 წლამდე ასაკისა.

ტექნიკუმი ამზადებს ვეტფერშლებს. სწავლის ხანგრძლივობა 4 წელია. განცხადებები მიიღება 1 აგვისტომდე. განცხადებას თან უნდა დაერთოს: მოწმობა საშუალო სკოლის 7 ან 8 კლასის დამთავრების შესახებ (დედანი), მეტრიკული ამონაწერი (დედანი), ავტობიოგრაფია, ცნობა სამხედრო სამსახურთან დამოკიდებულების შესახებ (სამხედროვალდებულთათვის), ცნობა ჯანმრთელობის შესახებ სამკურნალო დაწესებულებიდან და ფოტოსურათი. პასპორტი უნდა წარმოდგენილ იქნას გამოცხადებისას.

გამოცდები იწარმოებს 1 აგვისტოდან 20 აგვისტომდე შემდეგ საგნებში: სსრ კავშირის კონსტიტუციაში, ქართულ ენასა და ლიტერატურაში (წერა და ზეპირი), რუსულ ენასა და ლიტერატურაში (წერა და ზეპირი), მათემატიკაში (წერა და ზეპირი).

უგამოცდოდ ჩაირიცხებიან ის პირები, რომლებსაც დამთავრებული აქვთ 8 კლასი ფრაადზე 1951 ან 1952 წელს, აგრეთვე საშუალო სკოლის კურსდამთავრებულნი.

ტექნიკუმში ჩარიცხულნი უზრუნველყოფილი იქნებიან საერთო საცხოვრებლით და სტიპენდიით საერთო წესით. მისამართი: მცხეთა, ვეტერინარული ტექნიკუმი.

ცეკავშირის თბილისის ერთფლიანი სავაჭრო-კოოპერაციული სკოლა აცხადებს მოსწავლეთა მიღებას **სამუშაოტრო**, სავაჭრო და ინსტრუქტორ-რევიზორთა განყოფილებებზე 1952-53 სასწავლო წლისათვის. სკოლა ამზადებს: სოფლის კოოპერატივების ბუღალტრებს, სოფლის კოოპერატივებისა და რაიკოოპკავშირების სავაჭრო საწარმოთა გამგეებს და ინსტრუქტორ-რევიზორებს. სკოლაში მიიღებიან სსრ კავშირის მოქალაქენი 18 წლის ასაკიდან, რომელთაც აქვთ განათლება არანაკლებ საშუალო სკოლის რვა კლასისა. **სამუშაოტრო განყოფილებაზე:** სამომხმარებლო კოოპერაციის სისტემის საყიდლისა დარგის პრაქტიკული მუშაკები (ან საყიდლისა დარგის მოწაფეები, რომლებსაც დამთავრებული აქვთ ინდივიდუალურ-პრაქტიკული სწავლების კურსი ან სწავლობენ არანაკლებ 4 თვისა. **სავაჭრო განყოფილებაზე:** ვაჭრობის დარგის პრაქტიკული მუშაკები და ვაჭრობის დარგის მოწაფეები, რომლებსაც დამთავრებული აქვთ ინდივიდუალურ-პრაქტიკული სწავლების კურსი ან სწავლობენ არანაკლებ 5 თვისა. **ინსტრუქტორ-რევიზორთა განყოფილებაზე:** სამომხმარებლო კოოპერაციის სისტემის ინსტრუქტორ-რევიზორები და სამომხმარებლო კოოპერაციის სისტემის სხვა პრაქტიკული მუშაკები (პირველ რიგში საყიდლისა დარგის). სწავლა იწარმოებს ქართულ ენაზე. განცხადებები მიიღება 1952 წლის 15 აგვისტომდე.

შესვლის მსურველებმა უნდა წარმოადგინონ შემდეგი საბუთები: რაიკოოპკავშირის (რაიკოოპერატივის) მოვლინება, ცნობა სამომხმარებლო კოოპერაციაში მუშაობის შესახებ, დაბადების მოწმობა (დედანი), განათლების მოწმობა (დედანი), განცხადება დირექტორის სახელზე არჩეული სპეციალობის აღნიშვნით, ცნობა ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ, ავტობიოგრაფია, ორი ფოტოსურათი, პასპორტი და სამხედრო ბილეთი (უნდა წარმოადგინოს პირადად).

გამოცდები მიეწყობა 15-დან 25 აგვისტომდე: ქართულ ენაში (წერა-ზეპირი), არითმეტიკაში (წერა-ზეპირი) და სსრ კავშირის კონსტიტუციაში საშუალო სკოლის რვა კლასის პროგრამის მოცულობით. გარდა ამისა სკოლაში შემსვლელთა ცოდნა შემოწმდება მათ მიმავალ სპეციალობასთან დაკავშირებულ საკითხებში. **სავაჭრო განყოფილებაზე** შემსვლელებს მოეთხოვებათ ვაჭრობის ორგანიზაციისა და ტექნიკის პრაქტიკული საკითხებისა და საქონლის ასორტიმენტის უმარტივესი საკითხების ცოდნა (ცოდნის ის მინიმუმი, რაც საკალდებულოა გამყიდველისათვის); **საბუხჰალტრო განყოფილებაზე** შემსვლელებს და **ინსტრუქტორ-რევიზორებს** მოეთხოვებათ საბუხჰალტრო აღრიცხვის დარგში ძირითადი ცნებებისა და საანგარიშოზე მუშაობის ცოდნა. სკოლაში მიღებულთ მიეცემათ სტიპენდია 250 მანეთის რაოდენობით და 75 მანეთი თვეში ბინისათვის. სკოლის მისამართი: თბილისი, კალინინის ქ. № 88.

სახელმწიფო შრომის შემნახველი სალაროები იღებენ ანაბრებს მოთხოვნამდე, ვადიანს, მომგებიანს, პირობითსა და მიმდინარე ანგარიშებზე: აწარმოებენ ანაბრების გაცემას მეანაბრეთა პირველი მოთხოვნისთანავე; გზავნიან ანაბრებს მეანაბრეთა დავალებით სსრ კავშირის სხვა შემნახველ სალაროში; შემნახველი სალაროები უხდიან მეანაბრეებს შემოსავალს: მოთხოვნამდე, პირობითსა და მიმდინარე ანგარიშების ანაბრებზე—3% წელიწადში; ვადიან ანაბრებზე — არანაკლებ 6 თვის ვადით—5% წელიწადში.

მომგებიანი ანაბრების შემოსავალი გაიცემა მოგებათა სახით, რაც ყოველწლიურად გამამაშდება ტირაჟებში ორჯერ — აპრილსა და ოქტომბერში. მოგების თანხა დამოკიდებულია ანაბრის ოდენობასა და შემნახველ სალაროში მისი შენახვის ხანგრძლივობაზე.

შეინახეთ ფული შემნახველ სალაროში.

საქართველოს სსრ სახელმწიფო შრომის შემნახველი სალაროებისა და სახკრედიტის სამმართველო

რუმინეთის დიდი ეროვნული კრების სესიაზე

ბუქარესტი, 2 ივნისი. (საკდესი). დღეს გაიმართა რუმინეთის დიდი ეროვნული კრების მორიგი სესია.

სესიამ ერთხმად მიიღო კანონი სასამართლო წყობილების შესახებ, რუმინეთის სახალხ